

გულიკო კვანტიძე
Guliko Kvantidze



ქართული სამოსის
ორნამენტი

**ORNAMENTS OF
GEORGIAN ATTIRE**

თბილისი • 2018 • Tbilisi



ეთნოლოგიისა და ისტორიის
სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი
Scientific-Research Institute of
Ethnology and History



პროექტის ხელმძღვანელი და წიგნის ავტორი გულიკო კვანტიძე
სამეცნიერო რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო აბაკელია
რეცენზენტი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელდარ ნადირაძე
ქართული ტექსტის რედაქტორი ელენე სალარიძე
ინგლისური ტექსტის თარგმანი და რედაქტორი
ერიკ ჰალვორსონი, ნინო ჩუბინიძე
დიზაინი ფრიდონ ლობჯანიძე
ფოტო მირიან კილაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ირაკლი ხუციშვილი

Project coordinator and author Guliko Kvantidze
Scientific Editor doctor of historical sciences Nino Abakelia
Reviewer doctor of historical sciences Eldar Nadiradze
Editor of Georgian text Elene Saralidze
Translator and English text editor
Eirik Kerstan Halvorson, Nino Chubinidze
Design Pridon Lobjanidze
Photographer Mirian Kiladze
Layout Irakli Khutsishvili

გარეკანზე: ქართველი ქალის ახალუხი; გურული მამაკაცის ჩოხა-ჩაკურა
On the cover: Georgian woman's akhalukhi; Gurian man's chokha-chakura

ნიგნის შექმნის იდეა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის – ქართული სამოსის მეცნიერულად შესწავლამ და პოპულარიზაციამ განაპირობა.

ბოლო ათწლეულში, საზოგადოების მხრიდან ქართული სამოსისადმი დაინტერესებას მოჰყვა ტერმინთა უნიფიკაცია, უხეში უზუსტობები ფორმებში, დომინანტ ფერებში, შემკულობაში და სხვ. საჭირო გახდა შექმნილიყო ისეთი ნაშრომი, რომელშიც შევიდოდა უტყუარი ინფორმაცია და საჭიროებისამებრ გამოიყენებდნენ ქართული სამოსის სფეროში მოღვაწე მეცნიერები, მასწავლებლები და სამოსის კონსტრუქტორები.

ნიგნის შექმნის იდეა რეალობად იქცა 2016 წელს, როდესაც ფონდ FARIG - Friends of Academic Research in Georgia, მატერიალური მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა ნიგნის შექმნისათვის საჭირო ყველა დასახული მიზნის ასრულება.

ნიგნში შესულ ექსპონატთა ძირითადი ნაწილი დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდსა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობის ფონდში.

ასევე გამოყენებულია: გორის, ქუთაისის, სვანეთის, ბათუმის, ლაზეთის, მაჭახლისა და აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმში დაცული ნივთების მცირე ნაწილი.

დიდი დახმარება გაგვიწია კორშისა (დირექტორი შოთა არაბული) და თუშეთის (დირექტორი ნუგზარ იდოიძე) კერძო მუზეუმების ხელმძღვანელთა მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ და ფოტოებმა.

The idea to create a book was inspired by the scientific study of one of the most important parts of Georgian cultural heritage –Georgian clothing and its popularization.

Aroused considerable interest on Georgian clothing over the last decade has resulted in unification of terms, rough inaccuracies in forms, dominant colors, adornments, etc. It has become of great significance to introduce work that would encompass factual information and would be of great help to scientists, teachers, clothing designers passionate about the field of Georgian clothing.

The idea of creating a book became a reality in 2016 with the support of the foundation FARIG - Friends of Academic Research in Georgia,

Most of the exhibits contained in this book are preserved next to Caucasian Clothing and textile in Simon Janashia State Museum of Georgia and among embroidery collections that are important complement to Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts.

In addition to this, material was obtained thanks to Gori, Kutaisi, Svaneti, Batumi, Lazeti, Machakhela and the house-museum of Akaki Tsereteli in the village of Skhvitvori.

Information as well as photos provided by the administration officials of Korsha (Shota Arabuli) and Tusheti (Nugzar Idoidze) private museums were of great help to us.

FaRiG helps scholars in Georgia, working in the humanitis, to carry out research and publish the results. By doing this, FaRiG contributes to the preservation of Georgia's unique cultural heritage and making their work better known in the international scholarly community.

A registered British charity since 2000, FaRiG was founded by the late John Wilkinson, a former director of the British School of Archaeology in Jerusalem who wrote widely on the history of Georgia and the Holy Land. Its current chairman is Professor Donald Rayfield and its secretary is Robert Scallon. FaRiG - Home

საერო სამოსის კვლევა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებაა, რაზეც მნიშვნელოვან როლს განხორციელებული პროექტები, ექსპოზიციები, სამეცნიერო-შემეცნებითი თუ საგანმანათლებლო ფორმატში წარმოდგენილი პროგრამები და სხვ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული და უძველესი სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდია. რომელშიც დაცულია XVIII-XX სს-ის საქართველოში, კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მცხოვრებ ხალხთა ტრადიციული სამოსი და აქსესუარები, ასევე მემორიალური ხასიათის ნივთები.

წინამდებარე ნაშრომი – „ქართული სამოსის ორნამენტი“, ფონდ „Farig“-ის მიერ დაფინანსებული პროექტია, რომელშიც წარმოდგენილია საერო სამოსსა და აქსესუარებზე, წლების განმავლობაში წარმოებული კვლევის შედეგები.

მონოგრაფიაში შესწავლილი საკითხი აქამდე არ გამოკვლეულა. ეს გახლავთ ქართულ სამოსსა და აქსესუარებზე, მაღალი ესთეტიკური გემოვნებით დატანილი და მრავალფეროვანი ტექნიკითა და მასალით შესრულებული ორნამენტი. შესწავლილია ასევე სამოსის დომინანტი ფერები, ქართულ და კავკასიურ დეკორში არსებული პარალელები და ქართული კოსტიუმის როლი თანამედროვე ყოფაში. მოძიებული და შეკრებილია ორნამენტთა ძველი სახელწოდებები.

ნიგნი ინოვაციური და მნიშვნელოვანია როგორც საერო სამოსის, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში მომუშავე მკვლევრებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

A wide range of projects implemented at different times, exhibits, programs presented within scientific-cognitive or educational framework, etc. prove that research of secular clothing is one of the priority scientific directions of the Georgian National Museum.

There are various funds of the Georgian National Museum. One of the most outstanding and ancient is Caucasus Clothing and Textile fund of Simon Janashia Museum of Georgia. It preserves traditional clothing and accessories of people living in the Caucasus and the Near East in XVIII-XX centuries, memorial objects.

The paperwork “Ornament of Georgian Clothing” is a project funded by „Farig“ and represents secular clothing and accessories as well as the results of the study conducted over the years.


The monograph encompasses the studies that has not been investigated yet. It is an ornament designed by various techniques and materials, carrying high aesthetic value and distinguished by their great expressiveness.

The article also emphasizes ubiquitous colors, parallels existing in Georgian and Caucasian décor and how significant role The Georgian clothing plays in modern life. In addition to this, old names of the ornaments are retrieved and collected in this book.

The book is innovative and it is of great significance for not only stakeholders passionate about secular clothing, the fields of humanitarian studies, but also for the general public.

დავით ლორთქიფანიძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი

David Lordkipanidze
Director General of Georgian National Museum



ქართული სამოსის ორნამენტი ORNAMENTS OF GEORGIAN ATTIRE

შესავალი

სამოსი ისტორიული მეხსიერების ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანაშრევია, რომელშიც შენარჩუნებულია ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითდამკვიდრების ელემენტები და ამდენად გასაგებია მისი გამორჩეული როლი და მნიშვნელობა სხვადასხვა ხალხის კულტურის კვლევისას.

ტანსაცმელს სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით შეისწავლიან ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სოციალურ-კულტურული, უტილიტარულ-სიმბოლური, დეკორატიული და სხვა მიმართულებებით.

სამოსს პრაქტიკული გამოყენების გარდა, გააჩნია მეორეული ფუნქციაც — აირეკლოს ქვეყნის პოლიტიკური ვითარება. ეს კი, თავის მხრივ კულტურათა ერთგვარ გადაკვეთას განაპირობებს დამპყრობელ და დაპყრობილ ქვეყანათა და ხალხთა შორის. ამათგან პირველის კულტურა უმეტეს შემთხვევაში დომინირებს მეორეზე. ამგვარი ვითარება გასდევდა ქართული ჩაცმულობის ისტორიასაც. საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლურ (არაბეთი, სპარსეთი, თურქეთი) და დასავლურ (რომი, ბიზანტია) კულტურათა ზეგავლენა მორიგეობით აისახებოდა ქართულ სამოსზე. მი-

Introduction

Clothing is one of the most important layers of historical memory, in which elements of national originality and self-assertion have been preserved. Thus its distinguished role and significance when researching the cultures of various peoples is understandable.

Historical-ethnographic, socio-cultural, utilitarian-symbolic, decorative, and other perspectives of clothing are studied according to specific depictions.

Apart from practical use, clothing also has a second type of function – to reflect a country's political conditions. A kind of cultural intersection between the conquerors and the people of a conquered country is decided by this itself. In most cases, the culture of the former dominates the latter. The history of Georgian clothing was also imbued by such conditions. Over the course of centuries, the influence of the East (Arabia, Persia, Turkey) and the West (Rome, Byzantium) was in turn reflected on Georgian attire. Despite this, the originality of Georgian attire was still retained, having been clearly reflected in the form, material, dominant colors, and ornamentation of national dress. Classic national Georgian attire is palpable proof of this – a woman's dress having a girdle and elaborate frontispiece with a hat and headband (Ill. 1) and a man's chokha with an akhalukh and bashlyk (Ill. 2).

Classic sets of Georgian clothing were worn

უხედავად ამისა, ქართულმა სამოსმა მაინც შეინარჩუნა თვითმყოფადობა, რაც თვალნათლივ აისახა ეროვნული ჩაცმულობის ფორმაზე, მასალაზე, დომინანტ ფერებსა და შემკულობაზე. ამის ნივთიერი მტკიცებულებაა კლასიკური ქართული ეროვნული სამოსი — ქალის სარტყელ-გულისპირიანი კაბა ლეჩაქ-ჩიხტიკოპითა (სურ.1) და მამაკაცის ჩოხა-ახალუხი ყაბალახით (სურ. 2).

ქართული ჩაცმულობის კლასიკურ კომპლექტებს ოდნავი განსხვავებებით თითქმის მთელ საქართველოში ატარებდნენ XVIII საუკუნიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე.

almost all throughout Georgia with slight differences from the 18th century to the 1930s.

The dress of each region differed according to their characteristics, being used in tandem with or independently of classic attire. There are Kartlian-Kakhetian (Ill. 1, 3) Tushetian-Pshavian-Khevsurian-Mtiuletian (Ill. 4-10, 35) Meskhetian-Javakhetian (from Akhaltsikhe) (Ill. 11), Imeretian (Ill. 12, 13), Mingrelian (Ill. 14, 15), Gurian (Ill. 16, 17), Acharian (Ill. 18, 19), Laz (Ill. 20), Svanetian (Ill. 21, 22), and Rachian (Ill. 23, 24) outfits.

The refinement and attractiveness of Georgian attire had been emphatically noted by historians, writ-



1



2

- სურ. 1. ქართლელ-კახელი ქალის ჩაცმულობა
- სურ. 2. ქართველი მამაკაცის ჩაცმულობა
- სურ. 3. ქართლელ-კახელი მამაკაცის ჩაცმულობა
- სურ. 4. თუში მამაკაცის ჩაცმულობა
- სურ. 5. თუში ქალის ჩაცმულობა
- სურ. 6. ფშაველი მამაკაცის ჩაცმულობა
- სურ. 7. ფშაველი ქალის ჩაცმულობა
- სურ. 8. ხევსური მამაკაცის ჩაცმულობა
- სურ. 9. ხევსური ქალის ჩაცმულობა
- სურ. 10. მთიული ქალის ჩაცმულობა
- სურ. 11. ახალციხელი ქალის ჩაცმულობა
- სურ. 12. იმერელი მამაკაცის ჩაცმულობა

- Ill. 1. Kartlian-Kakhetian woman's clothing
- Ill. 2. Georgian man's clothing
- Ill. 3. Kartlian-Kakhetian man's clothing
- Ill. 4. Tushetian man's clothing
- Ill. 5. Tushetian woman's clothing
- Ill. 6. Pshavian man's clothing
- Ill. 7. Pshavian woman's clothing
- Ill. 8. Khevsurian man's clothing
- Ill. 9. Khevsurian woman's clothing
- Ill. 10. Mtiuletian woman's clothing
- Ill. 11. Akhaltsikhian woman's clothing
- Ill. 12. Imeretian man's clothing



3



4



5



6



7



8



9



10



11



12

ქართული საოჯახო ორნამენტი



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24

- სურ. 13. იმერელი ქალის ჩაცმულობა
 სურ. 14. მეგრელი მამაკაცის ჩაცმულობა
 სურ. 15. მეგრელი ქალის ჩაცმულობა
 სურ. 16. გურული მამაკაცის ჩაცმულობა
 სურ. 17. გურული ქალის ჩაცმულობა
 სურ. 18. აჭარელი მამაკაცის ჩაცმულობა
 სურ. 19. აჭარელი ქალის ჩაცმულობა
 სურ. 20. ლაზი ქალის ჩაცმულობა
 სურ. 21. სვანი მამაკაცის ჩაცმულობა
 სურ. 22. სვანი ქალის ჩაცმულობა
 სურ. 23. რაჭველი მამაკაცის ჩაცმულობა
 სურ. 24. ზემო რაჭველი ქალის ჩაცმულობა

- III. 13. Imeretian woman's clothing
 III. 14. Mingrelian man's clothing
 III. 15. Mingrelian woman's clothing
 III. 16. Gurian man's clothing
 III. 17. Gurian woman's clothing
 III. 18. Acharian man's clothing
 III. 19. Acharian woman's clothing
 III. 20. Lazian woman's clothing
 III. 21. Svanetian man's clothing
 III. 22. Svanetian woman's clothing
 III. 23. Rachian man's clothing
 III. 24. Upper Rachian woman's clothing

თავისებურად განსხვავდებოდა რეგიონული ჩაცმულობა, რომელსაც კლასიკური კოსტიუმის პარალელურად ან მის დამოუკიდებლად ხმარობდნენ. ასეთებია — ქართლურ-კახური (სურ. 1, 3), თუშ-ფშავ-ხევსურული, მთიულური, მოხეური (სურ. 4-10, 35) მესხურ-ჯავახური (ახალციხური) (სურ. 11), იმერული (სურ. 12, 13), მეგრული (სურ. 14, 15), გურული (სურ. 16, 17), აჭარული (სურ. 18, 19), ლაზური (სურ. 20), სვანური (სურ. 21, 22), რაჭული (სურ. 23, 24), ინგილოური (სურ. 25) კოსტიუმები.

ისტორიკოსები, მწერლები, მოგზაურები თუ საქართველოში სხვადასხვა დროს ჩამოსული სტუმრები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ქართველთა სამოსის დახვეწილობასა და მიმზიდველობას, რისი ერთ-ერთი მთავარი დამსახურება მაღალესთეტიკური გემოვნებით შესრულებული ორნამენტიცაა.

თავდაპირველად, ორნამენტი გრძობად აღქმაზე დამყარებული, სპონტანურად აღმოცენებული მარტივი გეომეტრიული ფიგურა იყო, რომელიც დროთა განმავლობაში მრავალსახა სიმბოლოდ გარდაიქმნა და ხალხთა ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობის საფუძველზე შემუშავებული კოსმოგონიის, მითოსისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ანარეკლად იქცა [სურგულაძე 1993; ხიდაშელი 2010 (ბ)].

ორნამენტს აქვს თვისება, საზოგადოებრივი აზრის ცვალებადობის კვალდაკვალ, შეიცვალოს სემანტიკური ბუნება და სხვა დატვირთვის საგნად იქცეს. ქართულ ტანსაცმელზე წარმოდგენილი ორნამენტი, როგორც დაკვირვება გვაჩვენებს, არქაული შინაარსისგან დაცლილი და წმინდა ესთეტიკური ღირებულების მქონე ფიგურათა ფართო სპექტრია.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ეროვნული სამოსი სხვადასხვა დროს შეისწავლეს ივანე ჯავახიშვილმა, ნინო ჩოფიკაშვილმა, გიორგი ჩიტაიამ, ვერა ბარდაველიძემ, ივანე ციციშვილმა, სერგი მა-

ერს, travelers, or visitors to Georgia at various times thanks to ornaments made in a highly aesthetic style.

At first, ornaments were simple geometric figures having spontaneously arisen and being based on physical concepts. As time went on, they were transformed into diverse symbols and became reflections of a cosmogony, mythology, and religious conception elaborated on the basis of people's prolonged cultural relationships [Surguladze 1993; Khidasheli 2010 (b)].

An ornament has the capacity to change semantic nature in the wake of the variability of societal opinion and become a subject having a different function. As observation shows, there is a wide specter of figures devoid of an archaic essence and having a sacred, aesthetic value on ornaments presented on Georgian attire.

National attire has been studied at various times in the Georgian academic realm by such well-known scholars as: Ivane Javakhishvili, Nino Chopikashvili, Giorgi Chitaia, Vera Bardavelidze, Ivane Tsitsishvili, Sergiy Makalatia, Tsiala Bezarashvili, Leila Molodini, Gertsel Chachashvili, Giorgi Bochoridze, Luba Bochorishvili, Izolda Samsonia, Tina Ochiauri, Giorgi Jalabadze, Nino Gvatua, Kiti Machabeli, Giorgi Kalandia, et. al.

Ethnographic items as well as archaeological-historical, literary, and documentary sources, reliefs, stone stelae, and wall art have been used as sources when studying Georgian clothing diffused over various times and realms. The attire has been studied according to material, color, technique, patterns, regional affiliation, and functional purpose.

Giorgi Chitaia and Vera Bardavelidze have achieved much in the research of Georgian ethnography and ornaments, having studied the form, nomenclature, area of origin and distribution, and symbolic features of Khevsurian ornamentation during ethnographic field research in the 1950-70s. Clothing ornamentation is examined separately in the work *Khevsurian Ornamentation*.

Much effort had been put into a volume set

კალათიამ, ციალა ბეზარაშვილმა, ლეილა მოლოდინმა, გერცელ ჩაჩაშვილმა, გიორგი ბოჭორიძემ, ლუბა ბოჭორიშვილმა, იზოლდა სამსონიამ, თინა ოჩიაურმა, გიორგი ჯალაბაძემ, ნინო გვათუამ, კიტი მაჩაბელი, გიორგი კალანდიამ და სხვებმა.

სხვადასხვა დროსა და სივრცეში გავრცელებული ქართული სამოსის შესწავლისას წყარობად გამოყენებულია როგორც ეთნოგრაფიული ნივთიერი, ასევე არქეოლოგიურ-ისტორიული, ლიტერატურული, დოკუმენტური მასალები, რელიეფები, ქვა-სტელეები და კედლის მხატვრობა. ტანსაცმელი შესწავლილია მასალის, ფერის, ტექნიკის, თარგის, რეგიონული კუთვნილებისა და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ქართული ეთნოგრაფიისა და მათ შორის ორნამენტის კვლევაში დიდად გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის დამსახურება, მათ XX საუკუნის 50-70-იან წლებში სავსე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების საფუძველზე შეისწავლეს ხევისრული ორნამენტის ფორმა, სახელწოდება, წარმოშობა-გავრცელების არეალი და სიმბოლური მახასიათებლები. ნაშრომში „ხევისრული ორნამენტი“ ცალკეა განხილული სამოსის ორნამენტი.

დიდი შრომაა ჩადებული ნიგნში — „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“, რომელიც გიორგი ჩიტაიასა და ავტორთა ჯგუფის — პაატა გუგუშვილის, ქეთევან ლომთათიძის, მიხეილ გეგეშიძის, კოტე გრიგოლიას, ივანე გიგინეიშვილის, ვახტანგ ჯაფარიძისა და აკაკი სოხაძის მიერ იქნა გამოცემული. ხუთტომეულში შეტანილია ათეულობით წლების განმავლობაში თავმოყრილი და დამუშავებული ეთნოგრაფიული მასალა ქართული საოჯახო საფეიქრო მრეწველობის შესახებ. მდიდარი ინფორმაციაა დაცული ხალხური ლეგის, ქსოვილის ნედლეულის დამუშავების, ქსო-

ვით ხუთტომეულში შეტანილია ათეულობით წლების განმავლობაში თავმოყრილი და დამუშავებული ეთნოგრაფიული მასალა ქართული საოჯახო საფეიქრო მრეწველობის შესახებ. მდიდარი ინფორმაციაა დაცული ხალხური ლეგის, ქსოვილის ნედლეულის დამუშავების, ქსო-

of five books published by Giorgi Chitaia and the authors Paata Gugushvili, Ketevan Lomtadze, Mikheil Gegeshidze, Kote Grigolia, Ivane Giginishvili, Vakhtang Japaridze, and Akaki Sokhadze - "Material Regarding the History of Handicrafts and Artisanship in Georgia". Ethnographic material regarding Georgian domestic textile production compiled and processed over the course of a decade has been included in the book. Some rich information concerning folk painting, the making of raw fabric, knitting, embroidering, and sewing has been preserved.

Invaluable material has been gathered in Giorgi Bochoridze's work *Tusheti*, which was published in 1993 under the editorship of Giorgi Tsotsanidze. Some material conveyed by chroniclers in Tusheti during the first half of the 20th century is included in the book. Tushetian clothing is thoroughly presented along with other topics. The material, ornamentation, and form of Tushetian attire is described, with proper attention being focused on the means of ornamentation and décor.

Irakli Surguladze has made a large contribution to the study of Georgian ornaments. A significant part of his works have been devoted to precisely this topic. One of these noteworthy works is *The Symbolism of Georgian Folk Ornaments*, in which the author examines ornaments depicted on central pillars and conveys some profound research concerning their symbolic function.

Nino Abakelia has also contributed much in the research of Georgian symbols. Apart from the ritual significance of sacred foods and the customs connected to them, the author has examined symbols of zoomorphic images (snakes, bulls, goats, dogs, wolves, etc.) in the Georgian ritual mythological system in her work *Symbols and Ritual in Georgian Culture*.

Izolda Samsonia's monograph *Folk Attire in Achara* is important, in which, apart from the type and form, the author also examines Acharian clothing in relation to ornamental materials

ვის, ქარგვისა და კერვის შესახებ.

ფასდაუდებელი მასალაა თავმოყრილი გიორგი ბოჭორიძის ნაშრომში — „თუშეთი“, რომელიც გიორგი ცოცხანიძის რედაქტორობით 1993 წელს გამოიცა. წიგნში შესულია XX საუკუნის პირველ ნახევარში, თუშეთში, მთხრობელთა მიერ გადმოცემული მასალები. სხვა საკითხებთან ერთად, სრულყოფილადაა წარმოდგენილი თუშური სამოსი. აღწერილია თუშური სამოსის მასალა, შემკულობა და ფორმა. ჯეროვანი ყურადღება აქვს დათმობილი შესამკობელ საშუალებებსა და დეკორს.

ქართული ორნამენტის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის ირაკლი სურგულაძეს. მისი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ საკითხის კვლევას დაეთმო, მათ შორის ერთ-ერთი საყურადღებოა — „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“, რომელშიც ავტორი განიხილავს დედაბოძზე გამოსახულ ორნამენტებს და გადმოსცემს სიღრმისეულ კვლევას მათი სიმბოლური დატვირთვის შესახებ.

ქართულ სიმბოლოთა კვლევაში ასევე დიდია ნინო აბაკელიას დამსახურება. ნაშრომში — „სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში“, ავტორმა წმინდა საკვების სარიტუალო მნიშვნელობისა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების გარდა, განიხილა ზოომორფულ გამოსახულებათა (გველი, ხარი, თხა, ძაღლი/მგელი და ა.შ.) სიმბოლოები ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში.

მნიშვნელოვანია იზოლდა სამსონიას მონოგრაფია — „ხალხური ტანსაცმელი აჭარაში“, რომელშიც ავტორი აჭარულ სამოსს სახეობისა და ფორმის გარდა, შესამკობელი მასალისა და დეკორის მიმართულეებითაც განიხილავს.

არანაკლებ საყურადღებოა, აჭარის თემაზე შესრულებული ჯემალ ვარშალომიძის მონოგრაფია — „ორნამენტი ხეზე, აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“.

and décor.

Jemal Varshalomidze's monograph regarding Achara, *Ornaments on Wood, According to Ethnographic Material from Achara* is no less salient. Fabric ornaments are also examined by the author along with the types of Acharian ornaments and their area of distribution.

The work by Giorgi Kalandia and a group of authors, Irina Saganelidze and Irakli Zambakhidze, in the book *Fabric from Georgia* is invaluable, where the types and symbolic, practical purposes of fabrics used in Georgia are shown on the basis of period wall art, manuscript books, and ethnographic materials from the early to late Middle Ages. Apart from fabric, the author makes a profound scholarly analysis regarding the origin of various elements of clothing and their preservation in the Georgian realm.

The present work is the first attempt at researching the ornaments of Georgian attire. These ornaments are examined on clothing as added décor from an aesthetic point of view. The techniques used to make them and the colors dominant in Georgian attire have been studied. Regional differences in the ornaments used have also been shown.

The examined material kept at national, regional, and private museums in Georgia belongs to the 18th-20th centuries. Georgian jewelry, weapons, ceramic, metal, and wooden items having domestic purposes, as well as elements of outfits belonging to Northern and Southern Caucasian peoples are cited for comparative analysis.

Historic-ethnographic, comparative analytic, photographic, and material collection methods were used during research. Information preserved in the past was gathered with the aid of the historic method and the material acquired was analyzed through the use of knowledge gained in neighboring disciplines. The means for restoring a general picture reflecting the past were provided by the comparative analysis method.

აჭარული ორნამენტის ტიპისა და გავრცელების არეალთან ერთად ავტორი ქსოვილის ორნამენტსაც განიხილავს.

ფასდაუდებელია გიორგი კალანდიასა და ავტორთა ჯგუფის — ირინე საგანელიძისა და ირაკლი ზამბახიძის შრომა ნიგნში — „ქსოვილი საქართველოდან“, რომელშიც ადრეულიდან, გვიანდელ შუა საუკუნეებამდე პერიოდის კედლის მხატვრობის, ხელნაწერი ნიგნებისა და ეთნოგრაფიული ნივთიერი მასალის საფუძველზე ნაჩვენებია საქართველოში გამოყენებული ქსოვილის სახეები და მათი სიმბოლურ-პრაქტიკული დანიშნულება. ქსოვილს გარდა, ავტორი ღრმა მეცნიერულ ანალიზს აკეთებს სამოსის სხვადასხვა ელემენტთა წარმოშობისა და ქართულ სივრცეში დაუნჯების შესახებ.

წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა ქართული სამოსის ორნამენტის კვლევისა. მასში ორნამენტი განიხილება როგორც ესთეტიკური მოსაზრებით დატანილი დეკორი სამოსზე. შესწავლილია ტექნიკა, რომლითაც იგი სრულდებოდა და ფერები, რომლებიც დომინირებდა ქართულ სამოსში. ასევე ნაჩვენებია გამოყენებულ ორნამენტებში რეგიონული განსხვავებანი.

განხილული ნივთიერი მასალა, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნულ, რეგიონულ და კერძო მუზეუმებში, განეკუთვნება XVIII-XX საუკუნეებს. შედარებითი ანალიზისთვის მოტანილია ქართული სამკაული, იარაღი, კერამიკის, ლითონისა და ხის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები, ასევე ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ხალხთა კოსტიუმების ელემენტები.

კვლევისას გამოყენებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შედარებით-ანალიტიკური, ფოტოგრაფირებისა და მასალების შეგროვების მეთოდები. ისტორიული მეთოდის დახმარებით თავი მოვუყარეთ წარსულში დაცულ ცნობებს და მოპოვებული მასალა გავაანალიზეთ მომიჯნავე მეცნიერებებში დაგროვებული ცოდნის გა-

REGARDING THE STUDY OF THE TEXTILE INDUSTRY IN GEORGIA

Techniques, Material

Material from an archaeological dig and particularly spindle-weights, bone needles, twisted and painted linen fibers from the Eneolithic Period discovered in Dzudzuana Cave are some material artifacts confirming the prolonged tradition of the textile industry in Georgia [Kvavadze, E. 2009].

There have even been things mentioned concerning the development of weaving in Georgia in the records of ancient Greek historians and travelers. As they have noted, Georgians made a good-quality linen fabric [Georgika, 1936].

From Georgian and foreign historical sources of the subsequent centuries, it turns out that Georgians had also known the acquisition of good quality wool, cotton, and silk fabrics. Terms preserved in Georgian lexicography also attest to a well-developed textile industry. For example, the ancient equivalent for sericulture is the *ch'ich'naukhti* industry and the eastern Georgian (folk) term for an ornament is *nach'rela*, *ch'rela*, etc.

Reliefs and wall art clearly attest the industry of the well-developed textile business, such as the 6th century Mtskheta Cross in Kartli, the 12th century Nakipari Church of St. George in Svaneti, the late medieval Bugeuli Church in Racha, and Martvili Church in Mingrelia. There is also the “folk” paintings of these and other churches and ethnographic material from the 18th-20th centuries surviving to the present day.

Secular Georgian outfits were manually and mechanically adorned with embroidery, gemstones, beads, sequins, silver and simple metal ornaments, coins, buttons, appliqué work, and decorative woven strips. Head coverings and footwear woven with crotchet and knitting needles, felt caps and shepherd's cloaks, garters wo-

მოყენებით. შედარებითმა ანალიტიკურმა მეთოდმა კი წარსულის ამსახველი საერთო სურათის აღდგენის საშუალება მოგვცა.

საფეიქრო საქმის ტრადიციის შესწავლისათვის საქართველოში

ტექნიკა, მასალა

საქართველოში საფეიქრო საქმის დიდი ხნის ტრადიცია არსებობს, რომლის დამადასტურებელი ნივთიერი არტეფაქტები უზვადაა მოპოვებული სხვადასხვა დროსა და სივრცეში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში, რომელთაგან უძველესი, ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი, ენეოლითის პერიოდის კვირისტავები, ძვლის ნემსები, გრეხილი და შეღებილი სელის ბოჭკოებია [Kvavadze, E. 2009].

საქართველოში ფეიქრობის განვითარების შესახებ ძველ ბერძენ ისტორიკოს-მოგზაურთა ჩანაწერებშიცაა მოხსენიებული. მათი აღნიშვნით, ქართველები კარგი ხარისხის სელის ქსოვილს ამზადებდნენ [გეორგიკა, 1936].

შემდგომი საუკუნეების ქართულ-უცხოური საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველებს სელის გარდა სცოდნიათ საუკეთესო შალის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილის მიღება. კარგად განვითარებულ საფეიქრო მრეწველობაზე ქართულ ლექსიკოგრაფიაში შემორჩენილი ტერმინებიც მეტყველებენ. მაგალითად — მეაბრეშუმეობის ძველი შესატყვისია ჭიჭნაუხტის საქმე, ორნამენტის აღმოსავლურ-ქართული (ხალხური) შესატყვისია ნაჭრელა, ჭრელა და ა.შ.

კარგად განვითარებული საფეიქრო საქმის წარმოებაზე თვალნათლივ მეტყველებს

ven with leaves, and ribbons and laces of various colors and forms are frequent among the elements included in an outfit.

Embroidery handwoven from gold and silver threads is frequent among the means used to adorn clothing, followed by items handwoven with colored silk threads. Embroidery and appliqué work done mechanically are less represented.

When embroidering with gold, silver, and silk thread, gold thread, relief, cross-stitch, and crotchet stitch embroidery are basically used in which gemstones, sequins, and later on (second half of 19th century) beads were affixed with a more or less frequency. Girdles and frontispieces of Georgian dresses, flounce sleeves, scarves, underskirts, bashlyks, papanakis, women's hats, waistcoats, pelerines, and aprons were adorned in this way. These examples of art were worn almost all throughout Georgia – in Kartli-Kakheti, Khevi, Samtskhe-Javakheti, Imereti, Mingrelia, Guria, and less so in Achara and Racha-Lechkhumi (apart from two villages in Zemo Racha – Ghebi and Chiori).

Georgian items handwoven with gold, silver, and silk thread were renowned in the Near East and were quite expensive [MGIC 1982], embroidered products made in southwest Georgia were especially favored [Kakhidze, N: 1983].

The tradition of adorning Georgian head coverings is especially noteworthy. The painting of white flowers on silk veils and the ornamentation of head coverings and pelerines with the same color of silk thread are most prominent.

Painting white flowers on a silk veil was one of the favorite activities of Georgian women. Pre-selected images were made on a veil stretched out on a frame by an embroiderer using a pin dipped in a white paint. Veils painted in Telavi were renowned [Gvatusa, N. 1967].

The embroidery of large head coverings and pelerines with silk thread is interesting and no less noteworthy, the ends of which were bor-

რელიეფები და კედლის მხატვრობა, მაგალითად, როგორც VI საუკუნის მცხეთის ჯვარი ქართლში, XII საუკუნის ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესია სვანეთში, გვიანდელი შუა საუკუნეების ბუგეულის ეკლესია რაჭაში, მარტვილისა — სამეგრელოში. ამ და სხვა ტაძართა „ხალხური“ მოხატულობანი და დღემდე მოღწეული, XVIII-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული ნივთიერი მასალა.

ქართულ საერო კოსტიუმს ამკობდნენ ხელითა და მანქანური წესით შესრულებული ნაქარგობით, თვალ-მარგალიტით, მძივ-ბისერებით, კილიტებით, ვერცხლისა და უბრალო ლითონის სამკაულებით, მონეტებით, ლილებით, აპლიკაციებითა და ნაფთულებით. კოსტიუმში შემავალ ელემენტთა შორის ხშირია ყაისნალითა და ჩხირით ნაქსოვი თავსაბურავ-ფეხსამოსი, თექის ქუდები და ნაბდები, ფირფიტებით ნაქსოვი ჩახსაკრავები და სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის ზონარ-არშიები.

სამოსის შესამკობლად გამოყენებულ საშუალებათა შორის ხშირია ოქრომკედის, ვერცხლმკედისა და ფერადი აბრეშუმის ძაფებით ხელნაქარგი დეტალები, მასთან შედარებით, ნაკლებადაა წარმოდგენილი მანქანური წესით შესრულებული ქარგულობა და აპლიკაცია, რომელიც შეიძლება ითქვას, ერთ პერიოდს მოიცავს.

ოქრომკედით, ვერცხლმკედითა და აბრეშუმის ძაფებით ხელით ქარგვისას, ძირითადად გამოყენებულია „ნამაგრი“, „რელიეფური“, „გვირისტულა“ და „ყაისნალური“ სითვი, რომელშიც მეტ-ნაკლები სიხშირით ამაგრებდნენ თვალ-მარგალიტებს, კილიტებსა და მოგვიანებით (XIX საუკუნის II ნახევარი) მძივ-ბისერებს. ამგვარად ამკობდნენ ქართული კაბის სარტყელ-გულისპირებს, ყურთმაჯებს, თავსაკრავებს, შეიდიშებს, ყაბალახებს, ფაფანაკებს, ქალის ქუდებს, ელეგებს, მოსასხამებსა და წინსაფრებს. ხელოვნების ამ ნიმუშებს

დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს

დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს

დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს

დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს

დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს დერდნენ ხელოვნების ამ ნიმუშებს

თითქმის მთელს საქართველოში — ქართლ-კახეთში, ხევში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელო-გურიაში, ნაკლებად აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმში (ზემო რაჭის ორი სოფლის — ლეხისა და ჭიორის გარდა) ატარებდნენ.

ოქრომკედით, ვერცხლმკედითა და ფერადი აბრეშუმის ძაფებით ხელნაქარგი ქართული ნივთები განთქმული იყო მახლობელ აღმოსავლეთში და საკმაოდ ძვირად ფასობდა [მსშხი 1982], განსაკუთრებით მოსწონდათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილი ნაქარგი პროდუქცია [კახიძე, ნ: 1983].

საგანგებოდ აღსანიშნავია ქართულ თავსაბურავთა შემკობის ტრადიცია. გამოვყოფთ ლეჩაქის დაბასმვასა და თავსაბურავ-მოსასხამების ორნამენტირებას თავისივე ფერის აბრეშუმის ძაფით.

ლეჩაქის დაბასმვა ქართველი ქალების ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობა იყო. ქარგაზე გადაჭიმულ ლეჩაქზე მქარგავს წყალში გახსნილ ბასმაში დასველებული ქინძისთავით წინასწარ შერჩეული და ლეჩაქზე გადატანილი სახეები გამოჰყავდა. განთქმული ყოფილა თელავის დაბასმული ლეჩაქები [გვათუა, ნ. 1967].

საინტერესო და არანაკლებ საყურადღებოა, დიდი ზომის თავსაბურავ-მოსასხამების აბრეშუმის ძაფით მოქარგვა, რომელსაც ბოლოზე აბრეშუმისვე გრძელი ფოჩი ჰქონდა შემოყოლებული. აბრეშუმის თავსაბურავ-მოსასხამები XX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება ქართულ ჩაცმულობაში, რადგან ჩვენამდე მოღწეული ექსპონატები მხოლოდ ფაბრიკული ქსოვილისგანაა ნაკერი.

ხელით ქარგვის ერთ-ერთი უძველესი ტექნიკაა „ჯვრული“. მას ძირითადად უძველეს, ე.წ. „კერპული“, ხევსურული სამოსისა (სურ. 8, 9) და საყოფაცხოვრებო ნივთების შესამკობად იყენებდნენ. ჯვრულ ნაქარგობას XIX საუკუნის II ნახევრამდე ხევსურე-



of fabric made at home. Elements of clothing denoted by Russian terms (blouse – *tuzhurka*, a sleeveless waistcoat – *zhiletka*), a fur jacket, and an apron took the place of an outfit consisting of a *sadiatso* (knitted dress), *koklo* (outer tunic), and *papanagi* (pleated coat). The new, “fashionable” outfit covered a large area of distribution – Mtiuleti, Pshavi, and a part of Kakheti [Ochiauri, T. 1953].

Clothing was also adorned with beads by those from Ingilo. Due to living closely with Azerbaijanians, the clothing almost lost its Georgian appearance, but it withstood this influence and Georgian elements were preserved in the clothing. These were specifically an oval cuff and a type of apron characteristic of mountainous are-

ბი ოჯახში ბამბისგან საგანგებოდ დამზადებულ საქარგავ ქსოვილზე — „შილაზე“ ქმნიდნენ, რომელიც ნაჭრელას სისქესა და მდგრადობას აძლევდა [ბარდაველიძე, ვ., ჩიტაია, გ. 1939]. მოგვიანებით მას ფაბრიკული „კანვა“ ჩაენაცვლა. ჯვრული ტექნიკით შესრულებული ნაქარგობით ალამაზებდნენ ხევსურულ ტალავარს, ხალიჩურ ნაწარმსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს. მასალად გამოიყენებდნენ ბამბის ან აბრეშუმის ფაბრიკულ და შინამზად ფერად ძაფებს, რომლის შერჩევა მქარგველის გემოვნებასა და ოჯახის მატერიალურ შეძლებებზე იყო დამოკიდებული.

ოქრომკედ-ვერცხლმკედისა და ფერადი აბრეშუმის ძაფებით ნაქარგობის შემდეგ, მძივ-ბისერებით შემკობილი სამოსი მიმოვიხილოთ.

ხევსურები ნაჭრელას მეტი მომხიბვლელობისა და ლაზათისთვის მძივ-ბისერებით ალამაზებდნენ. ეს იყო სხვადასხვა ფორმის, ზომის, ხარისხისა და ფერის მძივები. მათი შერჩევა ნაქარგობასთან შეხამებით ხდებოდა. სამოსი, რომლის მრავალფერი და მრავალკუთხოვანი გეომეტრიულ ფიგურათა დეკორი იმკობოდა მძივ-ბისერებით, ლითონის სამკაულით, მონეტებით, ნაფთულებით, ზიკებით, კუთხაითა და შიბებით, არასდროს გასცდენია ქართულ ტრადიციას.

მძივ-ბისერებით ხევსურული კოსტიუმის ინტენსიურად შემკობა XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო. ეს პერიოდი ემთხვევა ძველი ხევსურული სამოსის ახლით შეცვლას — ოჯახში დამზადებული ტოლის მაგივრად ფაბრიკული ბამბა გამოიყენეს. სადიაცო-ქოქლო-ფაფანაგისგან შემდგარ კოსტიუმს კი რუსული ტერმინოლოგიით აღნიშნული ჩაცმულობის ელემენტები — ზედატანი — „ტუჟურკა“, უმკლავო ელეგი — „ჟილეტკა“, ქათიბი და ნინსაფარი ჩაენაცვლა. ახალმა, „მოდურმა“ კოსტიუმმა გავრცელების ფართო არეალი მოიცვა



as in eastern Georgia (ill. 25). The edges of these elements of the clothing were adorned in linear fashion by the Ingilos with beads and metal jewelry having a pipe structure 1

The Ingilo tradition of the linear adornment of clothing with beads is used in clothing belonging to a woman from Zemo Racha – a long, belted dress and a dress having false sleeves ornamented with one string of beads (Ill. 24).

Georgian women also had good mastery over the art of weaving with beads, weaving head-

სურ. 25. ინგილო ქალის ჩაცმულობა
სურ. 26. ქისები და საფულეები

Ill. 25. Ingilo woman's clothing
Ill. 26. Purses and wallets



27

— მთიულეთი, ფშავი და კახეთის ნაწილი [ოჩიაური, თ. 1953].

სამოსს მძივ-ბისერებით ინგილოებიც ამკობდნენ. აზერბაიჯანელებთან თანაცხოვრების გამო ინგილოურმა ტანსაცმელმა ქართული სახე თითქმის დაკარგა, მაგრამ მათ შეძლეს და ჩაცმულობაში ქართული ელემენტები შეინარჩუნეს. კერძოდ, ოვალური ყოში და აღმოსავლეთ საქართველოს მთისთვის დამახასიათებელი წინსაფრის ტიპი (სურ. 25). სწორედ სამოსის ამ ელემენტთა კიდევს ამკობდნენ ინგილოები საზოგადოებრივ-მძივ-ბისერებითა და მილისებრი მოყვანილობის ლითონის სამკაულით ❶.

ინგილოების მიერ, ტანსაცმლის მძივ-ბით საზოგადოებრივ-მძივ-ბისერებით გამოყენებული ზემო რაჭველი ქალის ჩაცმულობაში — მძივის ერთი აცმითაა შემკული საგულე-ახალუხი და ცრუსახელოიანი კაფთარა (სურ. 24).

ქართველი ქალები კარგად ფლობდნენ

bands, small and large pouches and purses, as well as pen and pipe stands. There is a significant collection of items woven with beads kept in the funds of the Simon Janashia and Shalva Amiranashvili Georgian Museums (Ill. 26).

It is also desirable to review sequins alongside beads. Items hand-embroidered with gold/silver and colored silk thread are mostly formatted with beads – headbands, underskirts, waistcoats, girdles, etc. The profuse ornamentation of head coverings with sequins was accepted in the attire of those from Zemo Achara. Various geometric and floral images were traced out with sequins on thin head coverings of silk lace and silk .

There was also the knowledge of enhancing clothes with jewelry. The use of jewelry as décor on clothing has its roots in the distant past in Georgia. There are many material witnesses to this belonging to the 4th-3rd millenia BC and the following millenia kept in Georgian museums [Lortkipanidze, N. 2016].

In this case, jewelry will be examined as a con-




28

მძივური ქსოვის ხელოვნებასაც, ამზადებდნენ შუბლსაკრავებს, მცირე და დიდი ზომის ქისებსა და ხელჩანთებს, ასევე კალმისტრისა და ყალიონის ბუდეებს. მძივურად ნაქსოვი ნივთების არცთუ ისე პატარა კოლექცია სიმონ ჯანაშიასა და შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს მუზეუმების ფონდებშია დაცული (სურ. 26).

მძივ-ბისერების გვერდით, სასურველია კილიტების მიმოხილვაც. კილიტებით უმეტესწილად გაფორმებულია ოქრომკედვერცხმკედითა და ფერადი აბრეშუმის ძაფით ხელნაქარგი ნივთები — თავსაკრავები, შეიდიშები, ელეგები, სარტყელ-გულისპირები და სხვა. კილიტებით თავსაბურავების უხვად შემკობა მიღებული იყო ზემო აჭა-

stituent part of the clothing and not as a separate adornment. The tradition of affixing jewelry to clothing has remained with the Khevsurs, Mtiuletiens, Tushetians, and the Khevians living in the mountains of eastern Georgia, the Ingilos in the lowlands, and the Abkhazians and Svans from western Georgia.

Khevians, Tushetians, Svans, and Abkhazians basically used metal jewelry to adorn clothing. One of these is a silver clasp. The widespread form of the silver clasp is either long or oval, being ornamented with niello or incrustations, or both together. Some silver clasps have gemstones. Silver clasps were made in Svaneti, which, in contrast to those from the North Caucasus, had a stick or leaf shape and was mostly of niello



სურ. 27. ხევსური ქალის საქორნილო წამოსასხამი
სურ. 28. უსტაბაშის ჩაცმულობა

III. 27. Khevsurian woman's wedding pelerine
III. 28.. Chief guildsman's clothing

რელთა ჩაცმულობაში. ბლონდისა და აბრე-შუმის თხელ თავსაფრებზე კილიტებით გამოჰყავდათ სხვადასხვა გეომეტრიული და მცენარეული სახეები.

იცოდნენ ასევე სამოსის სამკაულით გალამაზება. სამკაულის ტანსაცმელზე დეკორად გამოყენება საქართველოში შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. საამისო ნივთმტკიცებულება მრავლადაა დაცული საქართველოს მუზეუმებში და განეკუთვნება ძვ.წ. IV-III და შემდეგ ათასწლეულებს [ლორთქიფანიძე, ნ. 2016].

სამკაული ამ შემთხვევაში განიხილება როგორც სამოსის შემადგენელი ნაწილი და არა ცალკეული სამშვენიისი. სამოსზე სამკაულის დამაგრების ტრადიცია ბოლო დრომდე შემორჩა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მცხოვრებ ხევსურებს, მთიულებს, თუშებსა და მოხევეებს, ბარში — ინგილოებს, ხოლო დასავლეთ საქართველოს ბარში აფხაზებს, მთაში კი სვანებს.

მოხევეები, თუშები, სვანები და აფხაზები სამოსის შესამკობად ძირითადად ლითონის სამკაულებს იყენებდნენ. ერთ-ერთი ასეთია — ჩაფრასტები. ჩაფრასტის გავრცელებული ფორმა გრძელი ან ოვალურია, შემკულია სევადით ან ინკრუსტაციით, ან ორივეთი ერთად. ზოგიერთი ჩაფრასტი თვლებიანია. ჩაფრასტებს ამზადებდნენ სვანეთში, რომელთაც ჩრდილოეთ კავკასიურისგან განსხვავებული მანის, ფოთლის ფორმა აქვს და უმეტესად სევადიანი ვერცხლისაა. სვანები სვანურს გარდა ატარებდნენ ჩრდილოეთ კავკასიურ ნაკეთობასაც.

ხევსურები, თუშები და მთიულები სამოსს სხვადასხვა ფორმისა და მასალის ლითონის სამკაულებითაც ალამაზებდნენ, ისეთები, როგორებიც იყო: ძეწკვებზე დამაგრებული მონეტები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის პატარა ფიგურები, ის რაც სახლში მოეპოვებოდათ. ძალზე საინტერესოა, თუშების მიერ სამოსის შესამკობელი

silver. They also wore silver clasps from the North Caucasus.

The Khevsurians, Tushetians, and Mtiuleians adorned clothing with metal jewelry of various forms and material as well. These were coins affixed to chains and small figures of various shapes and sizes, whatever was found at home. The names of the jewelry ornamenting clothing by the Tushetians are quite interesting, such as: a *q'elmokhveulatsi*, which was sewn onto a sleeve and gave off a sound; a *q'elsakhebatsi*, or a twisted string sewn onto a sleeve; a *zhinzhiloi* — a metal jewelry part having various shapes, etc [Bochoridze, G. 1993].

The ornamentation of clothing with jewelry, as already mentioned, was also characteristic of Ingilo clothing. They also knew how to adorn clothing with coins, too. The ornamentation of a *pesi-tepelughi* head covering also required a great amount of coins.

Khevsurs also ornamented the bead collars of shirts and knitted dresses, the hems of chokhas, and headscarves with coins. Coins in this case are understood to be currency having no economic value. Khevsurs took coins to be equivalent to jewelry, boring through one side of the a coin and hanging it on clothing with a specially made clip.

The ornamentation of attire with buttons also has a long-time tradition in the history of Georgian clothing. Giving expensive buttons as a gift and including them in a dowry was considered a great honor and accepted custom even in the late Middle Ages [Charden, J. 1935; Baratashvili, I. 1950; Archil 1999].

Ornamenting clothing with buttons was popular and accepted especially in the mountains of eastern Georgia, mostly in Khevsureti. The Khevsurs adorned men's shirts and chokhas, knitted dresses and fur jackets, caps and headscarves with buttons. Among the attire ornamented with buttons, a Khevsur woman's wedding pelerine is especially noteworthy (Ill. 27).

სამკაულის სახელწოდებანი, როგორცაა: ყელმონვეულაცი, რომელსაც აკერებდნენ საყელოზე და ხმას გამოსცემდა; ყელსახე-ბაცი, ანუ საყელოზე მოსაკერებელი ძაფის გრეხილი, ჟინჯილი — სხვადასხვა ფორმის ლითონის სამკაულის ნაწილი და ა.შ. [ბოჭორიძე, გ. 1993].

სამკაულით სამოსის შემკობა, როგორც უკვე ითქვა, ინგილოური ტანსაცმლისთვისაცაა დამახასიათებელი. იცოდნენ ასევე ტანსაცმლის მონეტებით შემკობაც. დიდი რაოდენობის მონეტები სჭირდებოდა თავსაბურავ ფესი-თეფელულს.

მონეტებით ხევსურებიც ამკობდნენ პერანგისა და სადიაცოს ფარაგებს, ჩოხის კალთებსა და სათაურას. მონეტები ამ შემთხვევაში როგორც არაეკონომიკური ფული, ისეა გააზრებული. ხევსურებისთვის იგი სამკაულთან ჩანს გაიგივებული, ფულებს ცალ მხარეს ხვრეტდნენ და საგანგებოდ დამზადებული სამაგრით ამაგრებდნენ ტანსაცმელზე.

ქართული კოსტიუმის ისტორიაში ასევე დიდი ხნის ტრადიცია აქვს სამოსის ღილებით შემკობას. ძვირფასი ღილების საჩუქრად მირთმევა და მზითვში გატანება დიდ პატივად და მიღებულ წესად ითვლებოდა ჯერ კიდევ გვიანდელ შუა საუკუნეებში [შარდენი, ფ. 1935; ბარათაშვილი, ი. 1950; არჩილი 1999].

ღილებით სამოსის შემკობა პოპულარული და მიღებული განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთაში იყო. უმეტესად კი ხევსურეთში. ხევსურები ღილებით ამკობდნენ მამაკაცის პერანგსა და ჩოხას, სადიაცოსა და ქათიბს, ქუდსა და მანდილ-სათაურას. ღილებით შემკულ სამოსთა შორის საგანგებოდაა აღსანიშნავი ხევსური ქალის საქორწილო წამოსასხამი (სურ. 27).

ფშავში, მთიულეთში, თუშეთსა და ხევსურეთში გავრცელებული იყო სამოსის შემკობის კიდევ ერთი ტრადიცია — მანქანური

One other tradition of ornamentation was widespread in Pshavi, Mtiuleti, Tusheti, and Khevsureti – mechanic cross-stitches – with its advent being confirmed from the second half of the 19th century. This is approximately the period when sewing machines became relatively available to the populace. Using monotone or colored cotton thread, geometrical figures resembling old-fashioned, traditional ornaments were traced out on clothing with mechanical cross-stitches. The hems of chokhas and akhalukhs, sleeves and dress fronts, women’s blouses, aprons, and head coverings were ornamented with cross-stitches (Ill. 7, 10).

Laces of various sizes, shapes, and colors represent one of the basic ornamentations of Georgian attire, with their names determined according to the length, width, weaving technique, and the region to which it belongs. General Georgian braids and galloons are comparatively wider than twisted silk braids, gold/silver braids, and Khevsurian plaited silk stripes and are a bright gold color. Silver braids were also used, but more rarely. The ornaments listed were affixed to clothing for practical and decorative purposes. A twisted silk braid was made for clothes in order to strengthen them, being passed between the seams in order to prevent the fabric from ripping, whereas the basic function of a braid was for a decorative purpose, although it naturally reinforced a seam, too.

A chokha belonging to a Tbilisi street hawker, supposedly a chief guildsman, is adorned with a wide, golden braid (Ill. 28), giving the clothes a festive appearance. Almost every element of Georgian clothing was ornamented with narrow galloons, with Khevsurian chokhas created according to a classic chokha and other elements of clothing having gold braids being encountered among them, although on a rarer basis.

There was the knowledge of weaving with discs (Ill. 29). Braids, ribbons, garters, and other things of various sizes were sewn onto the discs. Silk thread was mostly used as material.



29

გვირისტულა, რომლის დასაბამი XIX საუკუნის II ნახევრიდან დადასტურდა. ეს დაახლოებით ის პერიოდი, როცა საკერავი მანქანა შედარებით ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობისთვის. ბამბის ერთფერი ან ფერადი ძაფების გამოყენებით, ტანსაცმელზე მანქანური გვირისტით გამოჰყავდათ ძველებურ, ტრადიციულ ორნამენტებს მიმსგავსებული გეომეტრიული ფიგურები. გვირისტულათი ამკობდნენ ჩოხა-ახალუხის კალთებს, საყელო-გულისპირებს, ქალის ზედატანებს, წინსაფრებსა და თავსაფრებს (სურ. 7, 10).

ქართული სამოსის ერთ-ერთ ძირითად სამშენის წარმოადგენს სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ზონრები, მათი სახელწოდებები სიგრძე-სიგანის, ქსოვის ტექნიკისა და რეგიონული კუთვნილების მიხედვითაა განსაზღვრული. ზოგადქართული ჩაფარიში და ბუზმენტი ყაითანთან, სირმასა და ხევსურულ შიბასთან შედარებით განიერია და ხასხასა ოქროს-

The Khevsurian *shiba* (twisted wool, silk, or more rarely, cotton thread ②) and the tradition of ornamenting clothing with a *shiba* technique is worthy of a separate examination. There are three types of *shiba*: 1. a *chokha shiba*; 2. *ormag-shibai*, which is a double *chokha shiba*; 3. *tomris shibai*, being of lesser quality and made as such that it comes out thick with protuberances. The *chokha shiba* however is flat [Bardavelidze, V. Chitaia, G. 1939]. *Shiba* was used more from a decorative viewpoint. Clothing done with *shiba* is particularly beautiful, with the *shiba* being done with a monotone or a few different colors together. Clothing, head coverings, footwear, and a variety of items serving a domestic purpose were adorned with this type of ornamentation.

In regard to the ancient technique of adorning clothing with appliqué, called *danaptuleba* by the Khevsurs, the decorative woven strips were cut from various shapes and sizes of cotton fabric and placed on the cuffs and edges of clothing. A man's outer shirt (*t'alavari*) was ornamented in the same way (III. 8, 9).

Aside from the elements sewn into a Georgian outfit, items woven with crochet and knit-



2

სურ. 29. ფეხსამოსის ტიპები
სურ. 30. ყაისნალით ნაქსოვი თავშალი

III. 29. Types of footwear
III. 30. Crochet needles headwear

ფერია. იშვიათად, მაგრამ გამოიყენებოდა ვერცხლისფერი ზონრებიც. ჩამოთვლილ შესამკობლებს პრაქტიკული და დეკორატიული დანიშნულებით ამაგრებდნენ სამოსზე. პრაქტიკულად ყაითანი სამოსს სიმაგრისათვის უკეთებოდა, მას ნაკერებს შორის ატანდნენ, რათა ქსოვილი რღვევისგან დაეცვა, ხოლო ჩაფარიშის ძირითადი ფუნქცია დეკორატიული დანიშნულება იყო, თუმცა იგი, ბუნებრივია, ნაკერსაც ამაგრებდა.

განიერი ოქროსფერი ჩაფარიშითაა შემკული თბილისელი ყარაჩოხლის, სავარაუდოდ, უსტაბაშის ჩოხა (სურ. 28), რომელიც სამოსს სადღესასწაულო იერს აძლევს. წვრილი ბუზმენტებით იმკობოდა ქართული სამოსის თითქმის ყველა ელემენტი, მათ შორის იშვიათად, მაგრამ მაინც, ვხვდებით ოქროსფერბუზმენტთან, კლასიკური ჩოხის მიხედვით შექმნილ ხევსურულ ჩოხებსა და სამოსის სხვა დეტალებს.

იცოდნენ ასევე ფირფიტებით ქსოვა (სურ. 29). ფირფიტაზე ქსოვდნენ სხვადასხვა ზომის ჩაფარიშებს, არშიებს, ზონრებს, ჩახსაკრავებს და სხვ. მასალად უმეტესწილად აბრეშუმის ძაფს იყენებდნენ.

ცაკლე განხილვას იმსახურებს ხევსურული შიბა 2 და დაშიბვის წესით სამოსის გალამაზების ტრადიცია. შიბა სამი სახისაა: 1. „ჩოხის შიბაი“; 2. „ორმაგ-შიბაი“, რომელიც ჩოხის ორმაგ შიბას ეწოდება; 3. „ტომრის შიბაი“, ნაკლებ ხარისხიანია, კეთდება ისე, რომ ამობურცული და მსხვილი გამოდის. ჩოხის შიბა კი ბრტყელია [ბარდაველიძე, ვ. ჩიტაია, გ. 1939]. შიბას უფრო მეტად დეკორატიული თვალსაზრისით გამოიყენებდნენ. დაშიბული სამოსი გამორჩეულად ლამაზია, დაშიბვა ხდებოდა ერთფერი ან რამდენიმე ფერის შიბისგან. ამ წესით ალამაზებდნენ ტანსაცმელს, თავსაბურავს, ფეხსაცმელს და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვა სახეობის ნივთს.

ქართულ საფეიქრო საქმეში აპლიკაცი-



30

ting needles are frequent. Headscarves (Ill. 30), fabric borders of the clothing, and other items for everyday use were woven with crochet needles.

Weaving is a tradition that goes back a long way in Georgia. One type of weaving is the *ts'in-duri* method. Foot coverings, underwear, outerwear, caps, and items for everyday use were woven all throughout Georgia with this method.

High and low cut stockings, leggings, garters, and other items were woven with this technol-

ის წესით ტანსაცმლის შემკობა საკმაოდ დიდი ხნის ტრადიციაა, რომელსაც ხევისურები დანაფთვლებას ეძახდნენ. ნაფთვლები იჭრებოდა სხვადასხვა ფორმასა და ზომაზე ბამბის ქსოვილისგან და იდებოდა სამოსის მაჯებსა და კიდებზე, რითიც ერთგვარად იმკობოდა ტალავარი (სურ. 8, 9).

ქართულ კოსტიუმში ხშირია ყაისნალითა და ჩხირით ნაქსოვი დეტალები. ასეთებია ყაისნალით ნაქსოვი თავშლები (სურ. 30), სამოსის არშიები და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები.

ქსოვას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. მისი ერთ-ერთი სახეობაა **წინდური ქსოვა**. წინდურით მთელ საქართველოში ქსოვდნენ ფეხსამოსებს, შიგა სამოსებს, ზედატანებს, ქუდეებსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს

აღნიშნული ტექნოლოგიით საქართველოში იქსოვებოდა მაღალი და დაბალყელიანი წინდები, პაჭიჭები, წვივსაკრავები და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დამონმებულია ასევე ნაქსოვი ფეხსაცმლები — თუშური ჩითა და ხევისურული თათი.

მასალად ძირითადად გამოიყენებდნენ მატყლს, თუმცა ვხვდებით ბამბისა და აბრეშუმის ძაფისგან ნაქსოვ წინდებსაც (სურ. 31, 32).

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, აბრეშუმის ძაფისგან ნაქსოვი წინდები ყოფაში, ხელთ არსებული მასალის მიხედვით, გვიანდელი შუა საუკუნეებიდანაა (XVII-XVIII სს.) დადასტურებული. მას მეტწილად საგარეოდ იცვამდა დანიშნაურებული ფენის წარმომადგენლები. ჩვეულებრივ, ასეთ წინდებზე გეომეტრიულ ფიგურებთან ერთად ფრინველებსაც გამოსახავდნენ. ეს შესაძლოა, ირანული ზეგავლენის შედეგი ყოფილიყო, ვინაიდან სწორედ ირანული ტრადიციის მიხედვით ხდებოდა ჯორაბების აბრეშუმის ძაფით ქსოვა და მასზე ფრინველის სახეების გამოყვანა. ვხვდებით ასევე ერთი ფერის აბრეშუმის წინდებსაც.

ogy in Georgia. Woven footwear is also verified in the mountainous regions of eastern Georgia – the Tushetian *chita* (a thick wool sock) and the Khevsurian *tati* (also a kind of stocking).

Wool was the primary material used, with stockings woven from cotton and silk thread also being encountered (Ill. 31, 32).

According to extant materials, stockings woven from silk thread in life are confirmed from the late Middle Ages (17th-18th cent.) Mostly those from the privileged class wore them externally, with birds being pictured on them along with the usual geometrical figures. This might have been the result of an Iranian influence, because it was really according to their tradition that weaving with *gorabi* silk took place and the outlining of bird images on them. Stockings having a single color are also encountered.

Stockings woven with cotton thread are rare and are mostly encountered in the clothing of representatives of a low social class in western Georgia. The stockings were basically woven with thread spun from wool and were adorned with very complex geometrical images.

In comparison with stockings, foot coverings were woven from wool yarn with the sole being made with a plaited woollen thread. For more durability however, leather was attached to the sole.

Every region had its own characteristic ornament basically consisting of geometrical figures. Floral décor is also encountered, but more rarely. Flowery, colorful patterned stockings from the village of Ghorjomi in Zemo Achara are a part of the Caucasian Clothing and Textile Fund at Simon Janashia Georgian Museum and they belong to the first half of the 20th century.

It is notable that the multicolored patterns of this or that region bear a great similarity to the décor of the carpet products of their own region.

ბამბის ძაფისგან ნაქსოვი წინდები იშვიათია და უფრო დასავლეთ საქართველოში, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა სამოსში გვხვდება. წინდებს, როგორც აღინიშნა, ძირითადად მატყლისგან დართული ძაფით ქსოვდნენ და გამოჰყავდათ ურთულესი გეომეტრიული სახეები.

წინდებისაგან განსხვავებით, ფეხსაცმელი მატყლის ნართისგან იქსოვებოდა, რომლებზედაც ძირს დანული ბანრისას უკეთებდნენ, ძირზე კი მეტი გამძლეობისთვის ტყავს აკრავდნენ.

ყველა რეგიონს თავისი დამახასიათებელი ორნამენტი ჰქონდა, რომელიც ძირითადად გეომეტრიული ფიგურებისგან შედგებოდა. იშვიათად, მაგრამ ვხვდებით მცენარეულ დეკორსაც. ყვავილოვანი, ფერადსახიანი წინდები სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში შემოსულია ზემო აჭარის სოფელ ლორჯომიდან და XX საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ რეგიონის წინდისა და იმავე რეგიონის ხალიჩების ფერადოვნება მსგავსია.

რაც უფრო დაჭრელებულია წინდა, მით უფრო რთული მოსაქსოვია იგი და ფასიც შესაბამისად მატულობს [ყარაულაშვილი, ც. 1985].

ქართულ ჩაცმულობაში ხშირია მოთელილი მატყლის ნანარმის დანიშნულებისამებრ გამოყენება. ეს იქნება საზამთრო ქურთუკები, ნაბდები თუ ქუდები.



25

31



32

The more pattered a stocking is, the more difficult it is to weave and the price also increases accordingly [Karaulashvili, Ts. 1985].

Felted wool products are frequently used in Georgian attire. These are winter coats, *nabadas* (shepherd's cloaks), or hats.

სურ. 31 ფეხსამოსის ტიპები
სურ. 32 აბრეშუმის წინდები

Ill. 31 Types of footwear
Ill. 32 Types of silk footwear "Tsinda"

ტრადიციული ფერები

მუზეუმებში დაცული მასალიდან გამომდინარე, ქართული ჩაცმულობაში ტრადიციული იყო შავი, თეთრი და წითელი ფერები.

შავი წყვდიადიცაა და ახლის ჩასახვისა და აღმოცენების შესაძლებლობაც; წითელი სიცოცხლის ფერია და ამავე დროს, სიკვდილთან დაკავშირებული სისხლისფერიც; თეთრი სინმინდის უნივერსალური ნიშანია და პარალელურად სიკვდილის ნიშნადაც გაიაზრება [ხიდაშელი, მ. 2010].

ქართული კოსტიუმის, დომინანტი ფერების დასადგენად ცალ-ცალკე განიხილება სამოსის ელემენტები ფერებისა და რეგიონული კუთვნილების მიხედვით, დაჯგუფდება და განისაზღვრება რეგიონში მოხმარებულ ფერთა მეტნაკლებობა, ხოლო მათი დაჯამება საბოლოოდ წარმოადგენს ზოგადქართული სამოსის პრიორიტეტულ ფერთა პალიტრას.

ჩოხა საქართველოს ყველა რეგიონში ოთხი ძირითადი ფერისა იკერებოდა — შავი, ნაცრისფერი, ყავისფერი და თეთრი. სამამაკაცო კაბას კი მხოლოდ შავს ატარებდნენ, ძალზე იშვიათად — ლურჯს.

ჩოხა-ჩაქურას იცვამდნენ შავსა და ლურჯს, მხოლოდ მაჭახლის ხეობაში, ჩხუტუნეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული ყავისფერი ჯვალოსგან ნაკერი ჩოხა-ჩაქურას ორი ერთეული და ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ერთი წითელი კომპლექტი, რომელიც სავარაუდოდ, გვიანდელ, XX საუკუნის 30-იან წლებს უნდა განეკუთვნებოდეს.

ახალუხებს კერავდნენ სხვადასხვა ფერისას — შავს, თეთრს, ლურჯს, თამბაქოსფერს, ყვითელს, წითელს, ნარინჯისფერს, ასევე ორფერს. დასავლეთ საქართველოში მოიხმარდნენ ჩამოთვლილ ფერთაგან ყველას, ხოლო აღმოსავლეთში — თამბაქოსფერს, შავს, თეთრსა და ლუ-

TRADITIONAL COLORS

Stemming from the material, Georgian clothing consists of three basic colors – black, white, and red.

Black is pitch-blackness and has the capacity of being conceived and beginning anew. Red is the color of life and at the same time, the color of blood connected to death. White is a universal sign of purity and is concurrently interpreted as a sign of death, too [Khidasheli, M. 2010].

In order to establish the dominant colors of Georgian attire, elements of clothing will be examined separately according to the colors and regional affiliation. The difference in colors used in the region will be grouped and defined, whereas their summation will finally represent the palette of colors having high priority for general Georgian clothing.

In every region of Georgia, the **chokha** is sewn with four basic colors – black, gray, brown, and white. Men only wore a black dress and more rarely dark blue ones.

A black and blue chokha-chakura (a short tunic) were worn only in Machakhela Gorge. Two chokha-chakura outfits sewn from a coarse brown wool are kept at the Chkhutuneti Museum of Local History and there is one red outfit at the Kutaisi History Museum which supposedly must belong to the late 1930s.

Akhalukhs were sewn in various colors – black, white, blue, light brown, yellow, red, orange, as well as bi-colors (in Svaneti). All these colors were used in western Georgia, whereas only light brown, black, white, and blue were used in the east. With a few exceptions, black akhalukhs were widespread especially among the Tushetians and Pshavs in the mountains of eastern Georgia.

There is an almost analogous picture in women's clothing. The majority of **dresses** having girdles and frontispieces were black, white, brown, and gray, with black and white being the most

რჯს. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, განსაკუთრებით თუშებსა და ფშავლებში გავრცელებული იყო შავი ახალუხი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა.

თითქმის ანალოგიური სურათი გამოვლინდა ქალთა ჩაცმულობაში. ქართულ **სარტყელ-გულისპირიან** კაბათა უმრავლესობა შავი, თეთრი, ლურჯი, ყავისფერი და ნაცრისფერია, რომელთა შორის შავი და თეთრი ჭარბობს.

ქართული კაბის მსგავსად, **სარტყელ-გულისპირებსა** და **ყურთმაჯებში** კვლავ შავი და თეთრი ლიდერობს, შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი ლურჯი და შინდისფერი. უფრო ნაკლებია ცისფერი, იშვიათად ვარდისფერი და მწვანე. XIX საუკუნის მიწურულს ჩაცმულობაში მატულობს — ცისფერი, შინდისფერი, წითელი და ვარდისფერი, რაც საქართველოს რუსეთთან და ევროპასთან დანყებულ ახალ სავაჭრო კონტაქტებს უნდა უკავშირდებოდეს. ახალ ფერთაგან, ლურჯსა და შინდისფერ ხავერდს მოიხმარდნენ, ხოლო აბრეშუმს — ცისფერს, წითელსა და ვარდისფერს. XX საუკუნის პირველ ათწლეულებში, ქართულ მანუფაქტურულ წარმოებაში აღნიშნულ ქსოვილებს გარდა ჩნდება ხაოიანი ზედაპირის რუსული, სახიანი აბრეშუმში. ამ ქსოვილისგან ნაკერ სარტყელ-გულისპირებს ძირითადად ვაჭრის ცოლები ატარებდნენ.

ელეგებს, მოსასხამებს, პერანგებსა და **ზედატანებს** კერავდნენ წითელს, შინდისფერს, ლურჯსა და თამბაქოსფერს.

აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ინგილოთა სამოსში ჭარბობს იისფერი. პერანგს კი ტრადიციულად წითელი, ყანაოზისას ან ბამბისას ატარებდნენ. გამოყენებული ჩანს ყვითელიც, უმეტესად ახალუხებისა და ელეგებისთვის ყვითელი ფერიცაა გამოყენებული. ქართულ ფერთა დადგენის თვალსაზრისით, საინტერესოა ინგილოური წინდები, რომელშიც, შეიძლე-

dominant.

Like Georgian dresses, black and white are most prominent on **girdles**, **frontispieces**, and **founce sleeves**, with blue and dark red being comparatively less represented. Light blue, pink, and green are rarer. Light blue, dark red, red, and pink increase in clothing at the end of the 19th century, which must be connected to Georgia's new trade contacts forged with Russia and Europe. Out of the new colors, blue and dark red velvet was used, whereas for silk it was light blue, red, and pink. Apart from the fabrics noted in the Georgian manufacturing industry in the first decades of the 20th century, Russian-patterned silk with a thick-pile surface appears. Girdles and frontispieces sewn from this fabric were primarily worn by the wives of traders.

Waistcoats, **pelerines**, **shirts**, and **blouses** were sewn in red, burgundy, blue, and light brown.

Violet is prominent in the clothing of the Ingilos living in eastern Georgia. Being of silk (q'anaozi) or cotton, they traditionally wore red shirts. Yellow also appears to have been used mostly in akhalukhs and waistcoats. In view of establishing Georgian colors, Ingilo stockings are of interest, in which it might be said national motifs and color combinations have been preserved to the end. When they were being woven, blue, orange, and yellow were used, with green and red being secondary colors.

In the clothing of the Tushetians (men and women), Pshavs (men and women), Zemo Rachevians (women), and Svans (women), black and blue were used with red, dark red, blue, and light brown as secondary colors.

A Tushetian woman's juba (a woollen dress) and ubiana were either blue or black with a colorful apron – burgundy, blue, or checked fabric in dark tones. The beaded collaret and headscarf were black. There were other colors shown on the muffs of the skirt, frontispiece, and sleeves in Tushetian clothing ③.



3

ბა ითქვას, ბოლომდეა შენარჩუნებული ეროვნული მოტივები და ფერთა შენამება. მათი ქსოვისას გამოიყენებდნენ: ლურჯს, წარინჯისფერს, ყვითელს, მწვანეს, წითელს, იისფერს, ყავისფერსა და სხვ.

თუშთა (ქალი, მამაკაცი), ფშაველთა (ქალი, მამაკაცი), ზემო რაჭველთა (ქალი) და სვანთა (ქალი) ჩაცმულობაში გამოყენებულია შავი და ლურჯი, დამხმარე ფერებად კი — წითელი, ჟოლოსფერი, ლურჯი და თამბაქოსფერი.

თუში ქალის ჯუბა და უბიანა ან ლურჯია, ან შავი; წინსაფარი ფერადი — შინდისფერი, ლურჯი ან მუქი ტონალობის კუბოკრული; ფარაგა და მანდილი — შავი. სხვა ფერები თუშურ სამოსში კალთის, გულისპირისა და სახელოს ქუროზეა მოცემული **3**.

ფშაველთა სამოსიც ძირითადად შავი და ლურჯია — ქალის ჩოხა, ზედა და ქვედა ნაწილები, გულისპირი და წინსაფარი ხშირად შავია, იშვიათად მუქი ლურჯი ან თიხამინისფერი წითელი.

შედარებით მეტი ფერია გამოყენებული თუშურ და ფშაურ ფეხსამოსში. ძირითადი ფერებია თეთრი და შავი, ჭარბობს ასევე ლურჯი, დადასტურდა მუქი წითლისა და წარინჯისფერის გამოყენებაც.

აღმოსავლეთ საქართველოს მთასთან შედარებით, დასავლეთის მთის მცხოვრებთა ტანსაცმელი გაცილებით ფერადოვანია.

სვანი ქალის ზედატანი (ჟიბეტან) და ქვედატანი (ჩუბეტან) ძირითადად შავია, ქურთუკები კი თამბაქოსფერი, ცეცხლისფერი და კუბოკრული ჟოლოსფერი. ფერადოვანია ასევე ფეხსამოსი-პაჭიჭები, სარტყლები და პერანგები. მათში ერთმანეთს ცვლის წითელი, ჟოლოსფერი, ცეცხლისფერი და ლეგა-მუქი ფერები — შავი, ნაცრისფერი და ყავისფერი.

რაჭაში, ისევე როგორც სვანეთში, თაღის ფერები ჭარბობს. ზემო რაჭველი ქალის კაფთარა შავია, მაგრამ მისი ცრუ

Pshavian clothing is also basically black and blue – a woman’s chokha, upper and lower pieces, frontispiece, and apron were frequently black, rarely dark blue or an earthy red.

Comparatively more colors were used in Tushetian and Pshavian foot wear. The basic colors were white and black with a dominance of blue. The use of dark red and orange has also been confirmed.

In comparison to the mountains of eastern Georgia, the clothing of those living in the western mountains is far more colorful.

A Svan woman’s blouse (zhivetani) and skirt (chubetani) are basically black, with the coats being light brown, a fiery orange, and a checkered raspberry color. Foot wear, leggings, belts, and shirts are also colorful. There is an interchange of red, raspberry, fiery orange, and silver gray with dark colors – black, gray, and brown.

There is an excess of dark colors in Racha as well as in Svaneti. The dress (k’aptara) of a woman from Zemo (upper) Racha is black, but the false sleeves are lined with brown, blue, or orange fabric. On the frontispiece there is an accretion of fabrics of the same colors shown, whereas in regard to shirt fronts, akhalukhs, and shirts, various colors were used – red, pink, orange, lilac, etc. A type of apron (peshtemali) was worn with dark colors, mostly red and gray.

The clothing of the Khevsurians, Acharians, and Laz is quite interesting in view of the abundance of colors.

There is a cautious game of abundant colors in Khevsurian attire. This abundance of colors is pleasant and soothing to the eye and is especially sensed in clothing from this region [Bardavelidze, V. Chitaia, G. 1939].

Like general Georgian attire, blue and black are dominant in Khevsurian clothing, with an earthy brown being rarely encountered on a man’s tradition shirt (t’alavari), mostly in a collection from the 18th century.

There was a rule that Khevsurs strictly fol-

სახელოები დასარჩულებულია ყავისფერი, ლურჯი ან ნარინჯისფერი ქსოვილით, გულისპირზე ამავე ფერების ქსოვილის ჩანართებია მოცემული, ხოლო რაც შეეხება **საგულე-ახალუხსა და პერანგს**, ხმარობდნენ სხვადასხვა ფერისას — ნითელს, ვარდისფერს, ნარინჯისფერს, იასამნისფერს და ა. შ. ფეშტემალს ატარებდნენ უმეტესად ნითელსა და ნაცრისფერს. ან აღნიშნული ფერების ტონალობის მქონე ორ ფერში.

ფერთა სიუხვის თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ხევსურთა, აჭარელთა და ლაზთა სამოსი.

ხევსურულ სამოსში უხვ ფერთა ფრთხილი თამაშია. ფერთა ეს სიუხვე სასიამოვნოდ, უმტკივნეულოდ გჭრის თვალს. განსაკუთრებულად ეს ბუდე ხევსურეთის ტანისამოსში იგრძნობა [ბარდაველიძე, ვ., ჩიტაია, გ. 1939].

ზოგადქართული სამოსის მსგავსად, ხევსურულში ლურჯი და შავი ფერი დომინირებს, იშვიათად ვხვდებით ტალავარში თიხამინისფერს, უმეტესწილად XVIII საუკუნის კოლექციაში.

ფერთა შეხამებას თავისი წესი ჰქონდა, რომელსაც ხევსურები მკაცრად იცავდნენ. თუ კაბაზე მიკერებული ქოქომონი ლურჯი ფერით იწყებოდა, მას მწვანეს, ნითელსა და შავს მიაკერებდნენ. თუ სხვა ფერის სამირგვლეს მოაკერებდნენ, პირველად ფერთა წყობა სხვაგვარად განლაგდებოდა. აშკარაა, რომ ამ წესს მაგიურ-აპოთროპეული დანიშნულებით იცავდნენ. ამის დასტურია მიცვალებულის სამი — თეთრი, ლურჯი და ნითელი ფერის სუდარაში გახვევა [ბარდაველიძე, ვ., ჩიტაია, გ. 1939].

ფერადოვნებითაა გამორჩეული აჭარელ ქალთა სამოსიც. ეს რეგიონი ერთადერთია, სადაც სამოსის ელემენტებს ფერადი ქსოვილისგან კერავდნენ. ერთმანეთს ენაცვლებიან ნითელი, ჟოლოსფერი, მწვანე, ხაკისფერი, ნითელი, შინდისფერი, ლურჯი და ყვითელი ფერები. ზემო აჭარელ ქალთა

lowed in combining colors. If they began a striped, colored tassel comprising a four-colored samirgvle (a right-angled stripe embroidered with wool thread) with a blue color, green, red, and black would be sewn onto it. If a samirgvle of a different color was attached, the arrangement of the primary colors would be set out differently. It is clear that this rule was followed for magical, apotropaic purposes. The wrapping of white, blue, and red into a burial shroud for a deceased person is a confirmation of this [Bardavidze, V. Chitaia, G. 1939].

Women's clothing from Achara is also distinguished for its floridity. This is the only region where elements of clothing were sewn from colored fabric. Colors of red, raspberry, green, khaki, burgundy, blue, and yellow alternate with each other. The attire of women from Zemo Achara might be said to be the only one in Georgian clothing where there is an abundant use of yellow. The plethora of vivid colors of Acharian clothing supposedly must be the result of intimate, obligatory contact with the Turkish world.

In relation to Acharian and Khevsurian clothing, colors are used comparatively less in Laz clothing. Like the Acharian style, not only are one or two colors used as the basic colors of the clothing, but a wide spectrum, such as violet, burgundy, blue, and green. Tones of dominant colors are used as secondary colors however.

An examination of the spectrum of colors for head coverings and footwear is also intriguing.

Among head coverings for men, the basic color of felt and fur hats is black. White, gray, and brown are comparatively less. Blue is also encountered alongside black in Kakhetian hats.

Almost every color is used for bashlyks, whether it be black, white, blue, gray, brown, red, etc.

For women's head coverings, types of veils (lechaki, chikila) were white and sometimes a light cream color. Head scarves such as a mandili and a tavsak'ravi (a scarf covering the head gear)



სამოსი, შეიძლება ითქვას, ერთადერთია ქართულ ჩაცმულობაში, რომელშიც ჭარბადაა გამოყენებული ყვითელი. აჭარული სამოსის კაშკაშა ფერთა სიუხვე, სავარაუდოდ, თურქულ სამყაროსთან მჭიდრო იძულებითი კონტაქტის შედეგი უნდა იყოს.

ლაზურ სამოსში აჭარულთან და ხევისურულთან შედარებით ნაკლები ფერებია გამოყენებული. აქაც, აჭარულის მსგავსად, სამოსის ძირითად ფერებად შერჩეულია არა რომელიმე ერთი და ორი ფერი, არამედ რამოდენიმე, როგორცაა — იისფერი, შინდისფერი, ლურჯი და მწვანე. მეორეულ ფერებად კი დომინანტ ფერთა ტონებს ეძიებდნენ.

საინტერესოა თავსაბურავთა და ფეხსამოსთა ფერთა სპექტრის განხილვაც.

მამაკაცის თავსაბურავებიდან — ნაბღისა და ბენვის ქუდეებში ძირითადი ფერი შავია. შედარებით ნაკლებია თეთრი, ნაცრისფერი და ყავისფერი. კახურ ქუდეებში შავის გვერდით ვხვდებით ლურჯსაც.

ყბალახებისთვის გამოყენებულია თითქმის ყველა ფერი. იქნება ეს შავი, თეთრი, ლურჯი, ნაცრისფერი, ყავისფერი, წითელი თუ სხვ.

ქალის თავსაბურავებიდან ლეჩაქი და



were black and more rarely blue. Only a baghdadi (a head scarf of patterned silk squares) and a tavsak'ravi were worn as colored head coverings in eastern Georgia.

Silk head coverings and pelerines, being more characteristic of western Georgian attire, were acceptable in white. Even in this case, head coverings from Achara and Lazeti are distinguished for their colorfulness.

In view of establishing Georgian colors, stockings from Ingilo are of interest (Ill. 33), in which national motifs as well as colors have been perfectly preserved. Blue, orange, and yellow were used with green and red as secondary colors.

The basic colors of Tushetian and Pshavian footwear are white and black, with an abundance of blue and a use of dark red and orange.

Like clothing, Khevsurian and Acharian stockings and leggings are distinguished for their great colorfulness, with the colors used being identical to those for clothing.

Similarly to a chokha, felt and broadcloth leggings were sewn in black, white, orange, blue, and brown. Mostly simple, monotone leggings were worn, whereas Svanetian and Khevsurian leggings were ornamented with appliqué (Svanetian, Ill. 21) or embroidery patterns (Khevsuri-

ჩიქილა თეთრია, ზოგჯერ პირისფერი (ღია კრემისფერი). მანდილი და თავსაფარი — შავი, იშვიათად ლურჯი. ფერად თავსაბურავად აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ბაღდადსა და თავსაკრავებს ატარებდნენ.

დასავლურ-ქართული ჩაცმულობისთვის დამახასიათებელი თავსაფარ-მოსასხამები ტრადიციულად თეთრი ფერის იყო. თავსაბურავთა ფერადოვნებით, ამ შემთხვევაშიც აჭარულ-ლაზური გამოირჩევა.

ქართულ ფერთა დადგენის თვალსაზრისით, საინტერესოა ინგილოური წინდები (სურ. 33), რომელშიც სრულყოფილადაა შემონახული როგორც ეროვნული მოტივები, ასევე ფერები. გამოიყენებდნენ: ლურჯს, ნარინჯისფერს, ყვითელს, მწვანეს, წითელს, იისფერს, ყავისფერს და სხვ.

თუმურ და ფშაურ ფეხსამოსში მინა ძირითადად თეთრი და შავია, ხოლო დეკორში ჭარბობს ლურჯი, მუქი წითელი და ნარინჯისფერი.

ხევსურული და აჭარული წინდა-პაჭიჭები მათივე სამოსის მსგავსად ფერადოვნებით გამოირჩევა.

ტოლისა და მაუდის პაჭიჭებს ჩოხის მსგავსად, შავს, თეთრს, ნაცრისფერს, ლურჯსა და ყავისფერს კერავდნენ. ძირითადად ეცვათ სადა, ერთფერი პაჭიჭები, ხოლო სვანურ და ხევსურულ პაჭიჭებს ამკობდნენ სხვა ფერისა და ფორმის აპლიკაციით (სვანური) (სურ. 21) ან ნაჭრელათი (ხევსურული) (სურ. 34).

ფეხსამოსიდან ჩახსაკრავები ძირითადად თიხამინისფერია, ვხვდებით თეთრი და ყავისფერი ტონალობის ჩახსაკრავებსაც (სურ. 29).

თუმურ ჩითასა და ხევსურულ თათებს მინა თეთრი ან შავი აქვს, დეკორი კი ფერადოვანია, მათი მეორდება სამოსის დეკორის მოტივები ფერები და შემკულობა (სურ. 31).

უდავოა, რომ ქართულ ჩაცმულობაში დომინანტი ფერები — შავი, თეთრი



34

an, Ill. 34) in different colors and shapes.

Garters are basically dark beige, with some in white and brown tones also being encountered.

Thick woolen stockings - the Tushetian chita and the Khevsurian tati - are colorful. Chitas are mostly woven in white and black colors, with secondary colors being those extant in the decor of Tushetian clothing. As for tatis, they are woven in the colors of Khevsurian embroidery and adorned with beads and buttons like the clothing (Ill. 31).

Without a doubt, black, white, and red are the dominant colors in Georgian attire, whereas orange, green, blue, etc. have a secondary function.

Decor gives floridity to Georgian clothing done in three colors, with gold being dominant. In clerical vestments this color symbolically embodies the Son of God and eternal life [Lursmanashvili, L. 2009; Lursmanashvili, L. 2011].

The color spectrum of Georgian clothing was created from organic dyes selected through natural means. Common madder (*rubia tinctorum*)

სურ. 33. ინგილოური წინდა
სურ. 34. ხევსურული პაჭიჭი

Ill. 33. Stockings from Saingilo
Ill. 34. Patterns from Khevsureti

32



35



37

და წითელია, ხოლო ნარინჯისფერი, მწვანე, ლურჯი და ა.შ. შედარებით ნაკლებად გვხვდება.

სამ ფერში შესრულებულ ქართულ სამოსს ფერადოვნებას დეკორი აძლევს, რომელშიც ოქროსფერი პირველობს. სასულიერო სამოსში ეს ფერი სიმბოლურად, ძეღმრთისას და მარადიულ სიცოცხლეს განსახიერებს [ლურსმანაშვილი, ლ. . . 2009;

was used for a red color, with indigo for blue, green walnut rinds for a gold color, euphorbia and ragwort for yellow, sumach for orange, etc. [MHGIC 1982].

- სურ. 35. მოხვევე ქალის ახალუხი
- სურ. 36. აჭარელი ქალის ზედატანი
- სურ. 37. გურული მამაკაცის ზუბუნი
- სურ. 38. მესხი ქალის ჩაცმულობა

- III. 35. Khevia woman's akhalukhi
- III. 36. Stockings from Saingilo
- III. 37. Gurian Man's waistcoat
- III. 38. Meskhetian woman's clothing



36



38

ლურსმანაშვილი, ლ. 2011].

ქართული კოსტიუმის ფერთა გამა ბუნებრივი შერჩევის გზით მიღებული საღებავ-მცენარეებისგან შეიქმნა. წითელი ფერისთვის ენდროს იყენებდნენ, ლურჯისთვის — ინდიგოს, ოქროსფერისთვის — კაკლის წენგოს, ყვითლისთვის — რძიანასა და თავყვითელა ბალახს, ნარინჯისფერისთვის — თრიმლის ხეს და ა.შ. [მსუხი, 1982].

ორნამენტის სახეები და ტიპოლოგია

ქართულ ეროვნულ სამოსზე ტიპოლოგიურად წარმოდგენილია როგორც **ერთსახოვანი — გეომეტრიული, მცენარეული, ანთროპომორფული და ზოომორფული სახეები**, ასევე **შერეულსახა — გეომეტრიულ-მცენარეული, მცენარეულ-ანთროპომორფული, გეომეტრიულ-ანთროპომორფული, მცენარეულ-ზოომორფული და გეომეტრიულ-ზოომორფული** მოტივები. სშირია მცენარეთა სტილიზებული დეკორები.

მცენარეული მოტივები ქართულ სამოსზე გაცილებით ხშირადაა წარმოდგენილი, ვიდრე სხვა დანარჩენი. ჭარბობს ასევე სტილიზებული მცენარეული ორნამენტი, ბევრია გეომეტრიული ფიგურებით შემკული სამოსი, ნაკლებად ვხვდებით ზოომორფულს, ხოლო ანთროპომორფული იშვიათობას წარმოადგენს.

ა. გეომეტრიული ორნამენტი

გეომეტრიული ორნამენტი სამოსს აღმოსავლეთ საქართველოს მთაში — ხევსურეთში, მთიულეთში, თუშეთში, ფშავსა და ხევში ამკობდნენ. საზოვან ფიგურათა შესამკობლად გამოყენება ნაწილობრივ აჭარულ, გურულ და მეგრულ სამოსშიც აღინიშნება.

ხევსურული ორნამენტი საკმაოდ რთული მოხაზულობისაა, შედგება მარტივი — სწორი, ზიგზაგი და ტეხილი ხაზებისგან; ჯვრების, წრეების, კვადრატებისა და რომბებისგან. რთული ფიგურები კი მარტივი მოხაზულობის რთული კომბინაციებია. ხევსურულ ორნამენტში ჩაშლილია სოლარული (მზე, ვარსკვლავი), ზოომორფული (ხარი), სამეურნეო (ხერხი) და საბრძოლო იარაღისა (ისრის) და სხვა მო-

THE FORMS AND TYPOLOGY OF ORNAMENTS

Single-shaped geometric, floral, anthropomorphic, and zoomorphic images as well as **mixed motifs - geometric-floral, floral-anthropomorphic, geometric-anthropomorphic, floral-zoomorphic, and geometric-zoomorphic** - are typologically represented on Georgian national attire. Stylized decorations of plants are frequent.

Floral motifs are far more frequently presented on Georgian attire than the others. There is also an abundance of stylized floral motifs, with many clothes being ornamented with geometric figures. Zoomorphic motifs are encountered less so, whereas anthropomorphic ornaments are a rarity.

A. Geometric Ornament

Clothing was adorned with **geometric ornaments** in the mountains of eastern Georgia - in Khevsureti, Mtiuleti, Tusheti, Pshavi, and Khevi. A use of linear figures for ornamentation is partially noted in Acharian, Gurian, and Mingrelian clothing as well.

Khevsurian ornaments consist of quite complex patterns made up of simple, angular, zigzag, and broken lines, as well as crosses, circles, squares, and parallelograms. Complex figures however are complex combinations of simple outlines. Solar (sun, stars), zoomorphic (bulls), agricultural (saws), combat weapons (arrows), and other patterns were included in Khevsurian ornaments **4**

Khevsurian clothing, bead collarettes, hems, and sleeves were adorned with these ornaments, as well as pant legs and stockings.

If a viewer is captured by the multicolored nature of Khevsurian clothing, they will be inspired by the simplicity and elaborate tastes of **Tushtian attire**, with a hidden sensation of respect awakening within them.



ხაზულობები 4. აღნიშნული ორნამენტით ხევსურულ სამოსს, ფარაგებს, კალთებს, სახელოს დაბოლოებებს ამკობდნენ, ასევე ალამაზებდნენ შარვლის ტოტებსა და წინდა-პაჭიჭებს.

თუკი ხევსურული სამოსი მნახველს თავისი მრავალფეროვნებით იპყრობს, თუშური სისადავითა და დახვეწილი გემოვნებით ალაფრთოვანებს და ფარული რიდის გრძნობას უღვიძებს მნახველს.

თუშურ სამოსზე გაბნეულ — სწორ, ზიგზაგ, ტეხილ, წყვეტილ და დახრილ ხაზებს შიგადაშიგ ენაცვლებიან ჯვრები, რომბები, რომბებში ჩასმული ჯვრები, ქართული ასო-ბგერა ზ-„ზენი“, გაფოთილი ალვის ხე, წყლის წითელი ჭია, პეპელა და სხვ. ხაზებს გარდა, ორნამენტს ქმნიდნენ წერტილებიც.

ჩვენამდე მოღწეული **ფშაური სამოსი** 5 XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისისა (სურ. 7). ძველ ფშაურ ჩაცმულობაზე ფაქტობრივად არაფერია ცნობილი, იმის გარდა, რომ იგი ხევსურულისა და თუშურის მსგავსად ერთიანი კაბისგან შედგებოდა, ხოლო მას შემდეგ შექმნილი ორნამენტიანი ჩაცმულობა ძირითადად სადაა, ორნამენტირებულია ფეშტემალი და სახელოს მანუეტი. ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვთქვათ, ფშაური სამოსის სახეები არ არღვევს აღმოსავლეთის მთის მცხოვრებთა ჩაცმულობის საერთო ხაზს.

ანალოგიურის თქმა შეგვიძლია **მთიულურ სამოსზე**. მისი დეკორი ხევსურულის მსგავსი მარტივი მოტივებისგან შედგება 6

მოხეური სამოსის შესამკობელი სახეები განსხვავდებულა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მცხოვრებთა სამოსის შემკულობისგან. ერთი მხრივ, მოხევეები ტანსაცმელს სამკაულით, ხოლო მეორე მხრივ, წრიულ მოხაზულობაზე ორიენტირებული გეომეტრიული ფიგურებისგან ამკობდნენ, რომელიც თითქოს სტილიზებულიად სიცოცხლის ხის ერთ-ერთ გამოსა-



39

Crosses, parallelograms, crosses within parallelograms, the Georgian letter “z”, leafy poplar trees, red water bugs, butterflies, etc, alternate here and there among the angular, zigzag, broken, and bent lines scattered on Tushetian attire. Aside from lines, ornaments were created from dots.




40

სურ. 39. გვირილაში ჩამალული ჯვარი. ჯამეს შიგა ინტერიერი. მაჭახლის მუზეუმი

სურ. 40. ტაგრუცი. სანვრილმანო ყუთი

Ill. 39. Obscured cross inside some daisy petals

Ill. 40. Tagrutsi-decorated wooden chest



5

ხულებას, ირმის რქების სხვადასხვა ვარიაციას გადმოსცემს (სურ. 35) 7

დასავლეთ საქართველოში გეომეტრიული სახეებით სამოსის შემკობა შერეული სახითაა წარმოდგენილი: მცენარეულ-გეომეტრიული, მცენარეულ-ზოომორფული, ანთროპომორფულ-ზოომორფული და გეომეტრიულ-ანთროპომორფული. ჩამოთვლილი სახეობები დადასტურებულია აჭარაში (სურ. 36), ლაზეთში (სურ. 20), სამეგრელოსა და გურიაში (სურ. 37). გურულ სამოსს ამკობდნენ ოქროსფერი ყაითნის ნაქარგობით, რომელიც ზოგჯერ წინვოვანი ხის ორნამენტის შთაბეჭდილებასაც კი ქმნიდა 8.

აჭარული სამოსი, გურულის მსგავსად, ხერხისპირულის ორნამენტით იმკობოდა. ასევე გამოიყენებდნენ რომბებს, კვადრატ-

Pshavian clothing 5 surviving to this day is from the end of the 19th century to the beginning of the 20th (Ill. 7). There is really nothing known about ancient Pshavian attire, other than that it consisted of a single dress like Khevsurian and Tushetian clothing, whereas the two-part attire created later on is basically simple, with an ornamented apron and cuffs. The only thing that can be said is that the forms of Pshavian clothing do not break the general trend of clothing belonging to those living in the eastern mountains.

The same thing can be said for **clothing from Mtiuleti**. Its decor consists of simple motifs like Khevsurian attire 6 .

The types of ornaments for Khevian attire are different from those of the eastern mountainous regions. On one hand, the Khevians adorned clothing with jewelry, whereas on the other hand, with geometric figures placed on a circular outline, which stylistically convey one of the expressions of the Tree of Life, various variations of deer antlers (Ill. 35) 7 .

The ornamentation of clothing with ge-

სურ. 41. ეკლესიის ფრაგმენტი

სურ. 42. დოქი გოზაური

სურ. 43. კიდობანი თუშეთი

Ill. 41. Fragment of Church

Ill. 42. Georgian traditional jug-gozauri

Ill. 43. Tushetian wooden bin

ტებს, ნრებს, დახრილ ჯვრებს, სწორ, ზიგ-ზაგ და ტეხილ ხაზებს ①.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ცნობილია, რომ სამოსს მცენარეული, უმეტესად სტილიზებული მოტივით ამკობდნენ. იქაური ნაქარგობა ძვირად იყიდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნივთიერი მასალის არსებობის გამო, აშკარა გახდა სამოსის შესამკობად გეომეტრიული ფიგურების გამოყენებაც. კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში დაცულია მესხი ქალის ჩაცმულობის კომპლექტის ნაწილები — ნინსაფარი და სარტყელი (სურ. 38), ისინი მასალისა და შემკულობის მიხედვით, სოციალურად დაბალი ფენის ქალისა უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მცენარეული მოტივით სამოსის შესამკობად ხშირი გამოყენების მიუხედავად, დაბალ ფენებში ტანსაცმლის გალამაზება მარტივი, გეომეტრიული ფიგურებით იცოდნენ.



43

ometric images in **western Georgia** is varied: floral-geometric, floral-zoomorphic, anthropomorphic-zoomorphic, and geometric-anthropomorphic. These types are corroborated in Achara (Ill. 36), Lazeti (Ill. 20), Mingrelia, and Guria (Ill. 37). Gurian attire was adorned with embroidery done in golden braids, which sometimes created the impression of an evergreen tree ornament ②.

Like Gurian clothing, **Acharian attire** was adorned with jagged ornaments. Parallelograms, squares, circles, bent crosses, angular, zigzag, and broken lines were also used ③.

It is known in **southwest Georgia** that clothing is adorned with floral, mostly stylized motifs. Local embroidery was sold at high prices in countries of the Near East, but despite this, the use of geometric figures also became clear in order to adorn clothing, due to the existence of physical material. Some parts of a Meskhetian woman's clothing outfit are kept at the Caucasian Clothing and Textile Fund - an apron and a girdle (Ill. 38). According to the material and ornamentation, they must have belonged to a woman of low social status. It is possible to surmise, despite the frequent use of floral motifs to adorn clothes, that they knew how to accentuate clothing with simple, geometric figures in the lower classes.



ჯვარი, გორჯღალი, მირგვალა

THE CROSS, BORJGHALI, AND MIRGVALA

სრქაულ პერიოდში შექმნილი მარტივი გეომეტრიული მოხაზულობის ჯვარი საკმაოდ რთული სიმბოლიკისაა. ჯვრის შინაარსი მისი ფორმით განისაზღვრებოდა — თავისუფალი ჯვარი ქვეყნიერების, სივრცის სიმბოლოა. წრით, ოთხკუთხედით ან ბადურით შევსებული კი ლოკალური ნიშანია და კონკრეტულ პუნქტზე მიუთითებს [სურგულაძე, ი. 1993]. ჯვარი ასევე ასოცირდება სიცოცხლის ხესთან, რომელიც ადამიანს ღმერთთან მიახლოების საშუალებას აძლევს, [Eliade, M. 1954]. იგი სამყაროს ღერძია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ორ — ზესკნელ და ქვესკნელ სამყაროს. ჯვრის გადაკვეთის ადგილებზე აგებდნენ სამლოცველოებს, სადაც დაუსრულებლად სრულდებოდა კოსმოგონიასთან დაკავშირებული რიტუალები. იგი უძველესი ადამიანებისთვის ბოროტისგან თავდასაცავი, მაგიურ აპოთროპეული შინაარსის სიმბოლოა [Davy, M.-M. 1955] და სხვ.

ნივთებზე ჯვრის გამოსახვა ქართულ კულტურაში ორ — წინარექრისტიანულ და ქრისტიანულ პერიოდებს მიეკუთვნება: ჯვარი როგორც არქაული პერიოდის მაგიურ აპოთროპეული შინაარსის მარტივი სიმბოლო და ქრისტიანული; ორივე შემთხვევაში ჯვრის სიმბოლური დატვირთვა ბოროტისგან დაცვაზე იყო ორიენტირებული.

ხევესურულ სამოსზე დატანილ ჯვარს (ჩიტაია, ბარდაველიძე, სურგულაძე, ხიდაშელი), წინარექრისტიანულ პერიოდს უკავშირებენ.

ხევესურთა უძველესი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მსოფლიო კეთილი და ბოროტი ძალების ჭიდილის ასპარეზი იყო. ამიტომ ყოველთვის ცდილობდნენ თავი დაეცვათ ბოროტისგან და

The cross is of a quite complex symbolical nature, having a simple geometric outline created in the archaic period. Its essence was defined by its form - a free cross is a symbol of the worldly realm, of space. Being filled in with a circle, rectangle, or mesh was a local feature and points to a specific function [Surguladze, I. 1993]. The cross is also associated with the Tree of Life, giving a person the means to draw close to God [Eliade, M. 1954]. It is an axis connecting the celestial and the terrestrial realms to each other. Shrines were erected on cross intersections, where rituals connected to the cosmogony took place without ceasing. It was a symbol of self-defense from evil having a magical, apotropaic essence for ancient people [Davy, M. 1955], etc.

The depiction of crosses on items in Georgian culture belongs to the pre-Christian and Christian periods: the cross as a simple symbol having a magical, apotropaic essence in the archaic period and the Christian sense. In both cases, the symbolic function of the cross was oriented towards protection from evil.

Crosses included on Khevsurian attire (Chitaia, Bardavelidze, Surguladze, Khidasheli) are connected to the usual, pre-Christian period. Stemming from the Khevsurians' ancient worldview, the world was the arena for the battle of good and evil. This was why they always tried to protect themselves from evil and thus depicted a cross on doors, hearths, clothing, and even on ruins, wherever it was possible for evil to establish itself [Bardavelidze, V, Chitaia, G. 1979].

Beaded collarettes were ornamented with cross symbols having an especial significance in view of the apotropaic function. This is seen not only in Khevsurian attire, but also in the attire of the Tushetians and other Caucasian peoples.

Khevsurians called a cross ornament a "khat'i" (shrine), which according to some re-



ამ მიზნით ჯვარს სახლის კარზე, კერაზე, სამოსსა და ნანგრევებზეც კი გამოსახავდნენ. იქ, სადაც შეიძლებოდა ბოროტს დაესადგურებინა [ბარდაველიძე, ვ., ჩიტაია, გ. 1979].

ჯვრის სიმბოლოთი ამკობდნენ ფარაგებს, რომელთაც აპოთროპეული დანიშნულების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ჩანს არა მარტო ხევესურულ, არამედ თუშურ და სხვა კავკასიელი ხალხების ჩაცმულობაშიც.

ჯვრის ორნამენტს ხევესურები „ხატს“ ეძახიან, რაც ზოგიერთი მკვლევრის მიხედვით, წარმართულ საკულტო შენობას აღნიშნავს. ხატი — ჯვარი ხევესურულ ქარგულობაში სხვადასხვა კომბინაციითაა წარმოდგენილი. ერთ-ერთი ასეთია ირიბი ჯვარი, რომელსაც „გახატულს“ უწოდებდნენ [ბარდაველიძე, ვ., ჩიტაია, გ. 1939].

ირიბ, ორი პარალელური დახრილი ხაზისგან შემდგარი ჯვრის გამოსახვა აჭარელთა ეთნოგრაფიულ ყოფაშიცაა დადასტურებული. ამგვარ ჯვარს აჭარლები შენიღბულ ჯვარს უწოდებენ. თურქეთთან არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, ისინი იძულებულნი იყვნენ ჯვარი დაემალათ. სამოსის გარდა, შენიღბულ ჯვარს გამოსახავდნენ სახლის ჭერსა და ჯამეს შიგა ინტერიერში [ვარშალომიძე, ჯ. 1979]. ჩხუტუნეთის (მაჭახლის) მუზეუმში ყოფნის დროს, მუზეუმის დირექტორმა მალხაზ ნაგერვაძემ ჯამეს ხის კვეთილობაში ჯვრის ფარული გამოსახულება გვაჩვენა, რომელიც გვირილის ფურცლებში იყო ჩამალული (სურ. 39). ფარულად ჯვრის გამოსახვის გარდა, აჭარულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დაფიქსირებულია მკვეთრად გამოსახული ჯვრებიც, რომლებიც თან ახლავს ციურ სხეულებს [ვარშალომიძე, ჯ. 1979].

ჯვრის არქაული ელემენტი ასევე გამოსახულია თუშურ, მოხეურ და ფშაურ სამოსზე, სხვადასხვა დროისა (XVIII-XX სს.) და სივრცის (რეგიონები) მამაკაცთა თა-

searchers, signifies a pagan, cult structure. A *khat'i* cross was represented in Khevsurian embroidery through different combinations. One of these was an oblique cross, which was called “gakhath’uli” (something having been made an idol) [Bardavelidze, V., Chitaia, G. 1939].

Depicting a cross consisting of two parallel, slanted lines is also corroborated in the ethnographic life of the Acharians. They called such a cross a “masked” cross. Due to the extant political situation with Turkey, they were forced to hide the cross. Crosses were shown on the ceiling of a house and in the interior of a mosque [Varshalomidze, J. 1979]. While at the Chkhutuneti (Machakhela) Museum, the museum director Malkhaz Nagervadze showed us a hidden image of a cross in the mosque’s wood carvings which had been obscured inside some daisy petals (Ill. 39). Apart from hidden depictions of crosses, clearly shown crosses accompanied by the celestial bodies have also been confirmed in Acharian ethnographic life [Varshalomidze, J. 1979].


Archaic elements of a cross are also depicted on Tushetian, Kheviaan, and Pshavian clothing, on the top part of men’s head coverings from various periods (18th-20th cent.) and regions. According to the oral traditions of some narrators, crosses were shown on the top part of a hat for protection from evil.

Elements of a cross were not only pictured on clothing, but also on woodwork (Ill. 40) and stonework (Ill. 41), ceramic products (Ill. 42), gold jewelry, and items for domestic use.

A borjghali (a type of swastika) is a simple archaic ornament made up of geometric lines signifying the sun, heat, life, eternity, happiness, and health in the ancient cultures of civilized people. This symbol is known by such names as a blazing luminary, swastika, etc. Borjghali has a few synonyms in the Georgian language, these are: *borjghala*, the Mingrelian *barchkhali*, and the Acharian *borchkhiali*.

The borjghali is a wide-spread ornament in





44

ვსაბურავების ცაზე. სხვადასხვა მთხრობელთა გადმოცემით, ქუდის ცაზე ჯვარს, ბოროტისაგან თავდაცვის მიზნით გამოსახავდნენ.

ჯვრის ელემენტს გამოსახავდნენ არა მარტო სამოსზე, არამედ ხითხურობასა (სურ. 40) და ქვითხურობაში (სურ. 41), კერამიკულ ნაწარმზე (სურ. 42), ოქრომჭედლობასა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებზე.

ბორჯღალი გეომეტრიული ხაზებისაგან შემდგარი მარტივი არქაული ორნამენტი, რომელიც მზის, მცხუნვარების, სიცოცხლის, მარადიულობის, ბედნიერებისა და ჯანმრთელობის მნიშვნელობითაა ცნობილი ცივილიზებული ხალხების უძველეს კულტურებში. ცნობილია ბორჯღალის ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა მოკაშკაშე მნათობი, სვასტიკა და ა.შ. ბორჯღალს ქართულ ენაში რამდენიმე შესატყვისი აქვს. ესენია: ბორჯღალა, მეგრული ბარჩხალი და აჭარული ბორჩხალი.

ბორჯღალი საქართველოში მასობრი-

Georgia. It is depicted with special frequency and variations on woodwork. Reliquaries, small trinket boxes, interiors and exteriors of houses, furniture (Ill. 43, 45), etc, were adorned with this ornament in every region of Georgia. This ornament was also wide-spread in gold jewelry (44), carpet products, etc.

The existence of two types of borjghalis in Acharian woodwork is interesting. There is a differentiation of borjghalis pictured on reliquaries, with one being a borchkhiala and the other a "saktseula" sun. The latter means a heavenly body spinning around an axis [Varshalomidze, J. 1979].

There is another geometric element signifying eternity in Georgian ornamentation - *a spiral figure* - which figures in the clothing of the eastern mountain regions and in Zemo Achara (Ill. 47).

In Khevsureti, *mirgvala* means something round, a circle. A mirgvala is pictured in a circular manner on a man's outer shirt. It is difficult to figure out precisely what the Khevsurians were thinking when they decided to use the mirgvala as one of the basic images, but in the opinion of



45

ვად გავრცელებული ორნამენტი. განსაკუთრებული სიხშირითა და ვარიაციებით იგი გამოსახულია ხითხურობაზე. ამ ორნამენტით საქართველოს ყველა კუთხეში ამკობდნენ კიდობნებს (სურ. 43, 45), სანვრილმანო ყუთებს, სახლის შიგა და გარე ინტერიერს, ავეჯსა და სხვ. ბორჯღალის ორნამენტი ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ოქრომჭედლობაში (სურ. 44), ხალიჩურ ნაწარმზე და ა.შ.

საინტერესოა აჭარულ ხითხურობაში ორი სახეობის ბორჯღალის არსებობა, კიდობანზე გამოსახულ ბორჯღალებს შორის განასხვავებენ ბორჩხიალა და საქცეულა მზეს, ეს უკანასკნელი ღერძის გარშემო მბრუნავ ციურ სხეულს ნიშნავს [ვარშალომიძე, ჯ. 1979].

ქართულ ორნამენტიკაში მარადიულობის აღმნიშვნელია კიდევ ერთი გეომეტრიული ელემენტი — სპირალური ფიგურა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ზემო აჭარულ ჩაცმულობაში ფიგურირებს (სურ. 47).

ხევსურეთში *მირგვალა* მრგვალს, წრეს აღნიშნავს. მირგვალა წრიულადაა გამოსახული ხევსურულ ტალავარზე. ძნელი მისახვედრია, ზუსტად რას ფიქრობდნენ ხევსურები, როდესაც მირგვალას ერთ-ერთ ძირითად სახედ გამოყენება გადაწყვიტეს, მაგრამ ქართველ მეცნიერთა — ვერა ბარდაველიძისა და გიორგი ჩიტაიას აზრით, მირგვალა მზისა და ვარსკვლავის სოლარული ნიშანი უნდა იყოს. მათივე მსჯელობით, ეს არის მაგიურ-აპოთროპეული დანიშნულების თავდასაცავი წრე, რომლის ანალოგიური ფუნქციით გამოყენება სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაშიცაა დადასტურებული. კერძოდ, ლახამულას თემში ჯგრაგ ბოგაშისა (წმინდა გიორგი) და ხუალმიშის (ადგილის სახელწოდება) გალავანში „ლასკეარისთვის“ მოწყობილ სივრცეში პურობისთვის ქვებია ჩამორიგებული წრედ. ხევსურეთში წრის მაგიურ-

some Georgian researchers - Vera Bardavelidze and Giorgi Chitaia - a mirgvala must be a solar sign of the sun and stars. Through their reasoning, this is a protective circle having a magical, apotropaic property, with its use for an analogous purpose being confirmed in the ethnographic life



46

სურ. 44. ზილფი. სვანი ქალის სასაფეთქლე

სურ. 45. სვანური საუფროსო სკამი

სურ. 46. რაჭული ფარდაგი

Ill. 44. Zilphi-Svanetian woman's pendant

Ill. 45. The Chair of the elder from Svaneti

Ill. 46. Carpet from Racha

42



47



პოთროპეული დანიშნულება თვალნათლივად გადმოცემული ერთ-ერთ სარიტუალო წინარეკრისტიანულ თამაშობაში — კუდიან-წუხრა, რომლის მიხედვით, ადამიანს კუდიანებისგან თავის გარშემო კვირისტავით შემოხაზული წრე გადაარჩენს [ბარდაველიძე, ვ., ჩიტაია, გ. 1939].

of Svaneti as well. Specifically, there are some stones arranged into a circle for feasts in a space set up for “Laskaari” within the walls of Jgrag Bogashi (St. George) and Khualmishi in the Lakhamula community. The magical, apotropaic property of a circle is clearly conveyed in Khevsureti through one of the pre-Christian, ritual games “k’udian-ts’ukhra”, according to which a person is saved from witches by a circle traced in a whorl around them [Bardavelidze, V., Chitaia, G. 1939]



48

B. Floral Ornament

43



49

ბ. მცენარეული ორნამენტი

მცენარეული დეკორით სამოსის შემკობა უფრო ქალაქური ყოფისთვის იყო დამახასიათებელი და მას ძირითადად, სოციალურად დანინაურებელი ფენა მოიხმარდა. მცენარეული მოტივი იმ რეგიონებში იყო გავრცელებული, სადაც სარტყელ-გულისპირიან კაბებს ატარებდნენ. ესენია — ქართლ-კახეთი, მესხეთი, იმერეთი, სამეგრელო-გურია, ქვემო რაჭა და ლეჩხუმი. იგი აჭარასა და ლაზეთშიცაა დაფიქსირებული. გეომეტრიულ სიმბოლოებში მცენარეულის შერევა შედარებით გვიანდელ პერიოდს — XX საუკუნის დასაწყისს ემთხვევა. ერთმა მეორის ჩანაცვლება სრულად ვერ მოახერხა და საბოლოოდ შერეულ ტიპად დარჩა.

ქართული სამოსის შემკულობა შერეულ — მცენარეულ-გეომეტრიულ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ. თუ ქართლელ-კახელისა და იმერელი ქალის კოსტიუმში სარტყელ-გულისპირი და ყურთმაჯები მცენარეული ორნამენტიკითაა დამშვენებული, ლეჩაქის არშია ან მთლიანად ლეჩაქი შეიძლება წვრილი, გეომეტრიული სახეებით იყოს დაფარული. გეომეტრიული ორნამენტის შემთხვევაში საქმე მარტივადაა, რადგან მასში

Adorning clothing with floral decor was more characteristic of city life and was basically used by those of the social elite. Floral motifs were spread in the regions where halter dresses with frontspieces were worn. These regions were Kartl-Kakheti, Meskheta, Imereti, Mingrelia, Guria, Kvemo Racha, and Lechkhumi. They have been attested in Achara and Lazeti, too. Mixing floral motifs with geometric symbols occurs comparatively later on - at the beginning of the 20th century. Neither one was fully able to replace the other and it remained a mixed type to the end.

The ornamentation of Georgian attire must be classified as a mixed **floral-geometric** type. If the halter, frontspiece, and flounce sleeves of a Kartlian-Kakhetian and Imeretian woman's outfit were embellished with floral ornamentation, the border of the silk veil (lechaki) or the entire veil might be covered with small, geometric images. Things are simple in the case of geometric ornaments, because there can be floral additions, but they will be done with geometric lines. There are some cases where a zoomorphic image has been shown with geometric outlines. Let's take a bull, sheep, and deer for example. A bull's depiction has been shown with the image of a horn in a Khevsurian ornament, a deer's depiction can be made out through the outline of a deer antler in the decor of some Khevian clothing, whereas a sheep is represented on Pshavian and Acharian clothing with a spiral ornament called a "khvira". Yet another thought has been expressed

სურ. 47. აჭარელი ქალის
ზედატანი-სალტა

სურ. 48. სახლის ინტერიერის
დეტალი დასავლეთ
საქართველოდან

სურ. 49. ლაზური სახლის ჭერის
დეტალი - „ვარდულში“

Ill. 47. Acharian woman's clothing
outfit

Ill. 48. Details of house interior
from north Georgia

Ill. 49. Detail of Laz house ceiling
- "Varduli"

44



50

შეიძლება იყოს მცენარეული ჩანარები, მაგრამ ისინი გეომეტრიული ხაზებით იყოს შესრულებული. ასევე არის ისეთი შემთხვევები, როცა ზომორფული გამოსახულება გეომეტრიული მოხაზულობებითაა გამოსახული. მაგალითისთვის ავიღოთ ხარი, ცხვარი და ირემი. ხარის გამოსახულება ხევესურულ ორნამენტში რქის სახითაა მოცემული, ირმის გამოსახულება სტილიზებული ირმის რქის მოხაზულობით მოხეური ტანსაცმლის დეკორში იკითხება, ხოლო ცხვარი წარმოდგენილია ფშაურსა და აჭარულში სპირალური, ხვიარა ორნამენტის სახელწოდებით. თუმცა აჭარული ხვიარას შესახებ გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც — მკვლევარი ჯემალ ვარშალომიძე მას ასტრალურ მნათობთა სიმბოლოდ მიიჩნევს, რაც ვფიქრობთ, სავსებით შესაძლებელია

სურ. 50. მამაკაცის სარტყელი მოოქრული ვერცხლი

სურ. 51. ქართული კაბის ელემენტები – სარტყელი, ყურთმაჯები, გულისპირი, თავსაკრავი

სურ. 52. ქართული კაბის ელემენტები – სარტყლები

სურ. 53. ქართველი ქალის ახალუხი

სურ. 54. ქართული თავბურვის ელემენტები – ჩიხტა

სურ. 55. ქართული თავბურვის ელემენტები – თავსაკრავები

Ill. 50. Man's girdle silver-gilted

Ill. 51. Elements of Georgian woman's dress – halters and frontispieces

Ill. 52. Elements of Georgian woman's dress. – halters

Ill. 53. Georgian woman's Akhalukhi

Ill. 54. Elements of Georgian woman's headdress – chikhta

Ill. 55. Element of Georgian woman's headdress – tavsakravi



51

regarding the Acharian *khviara* - the researcher Jemal Varshalomidze considers it to be a symbol for astral, celestial bodies - which is thought to be wholly possible [Varshalomidze, J. 1979]. The custom of partially depicting zoomorphic figures in geometric ones follows an archaic formula of a ritualistic act - a part is equivalent to the whole, the use of which is pertinent in art even today [Surguladze, I. 1993].

That which was seen and liked in nature was used for floral motifs. The image of the manufactured fabric was sometimes transferred over to a fabric that was to be embroidered through the means of ash and perforated paper. Beans, blackberry and caper flowers, rosebuds and blooming



52

53



54



[ვარშალომიძე, ვ. 1979]. ზომორფული ფიგურების გეომეტრიულში ნაწილობრივ გამოსახვის წესი ემორჩილება რიტუალური ქმედების ერთ არქაულ ფორმულას — ნაწილი უდრის მთელს, რომლის გამოყენება დღესაც აქტუალურია ხელოვნებაში [სურგულაძე, ი. 1993].

მცენარეულ მოტივებად იყენებდნენ იმას, რასაც ბუნებაში ხედავდნენ და მოსწონდათ. ზოგჯერ ფაბრიკული ქსოვილის სახე გადაჰქონდათ მოსაქარგ ქსოვილზე

roses, flowers with four, five, six, and eight petals, and clover were used as embroidery images. The decor was created with oak and strawberry leaves, at times with boughs and branches. Images of a *mani*, ears of wheat, corn stalks (only in Achara), almond kernels, and grapevines - partially through leaves, reeds, or grape clusters, or in entirety - were characteristic of Georgian embroidery [MHGIC 1982].



55

ნაცრისა და დახვრეტილი ქალღმერთის საშუალებით. საქარგავ სახედ იყენებდნენ ლობიოს, მაცვლისა და ჯონჯოლის ყვავილებს, გაშლილ და გაუშლელ ვარდებს, ოთხ, ხუთ, ექვს და რვაფურცლა ყვავილებს, სამყურა ბალახს; დეკორს ქმნიდნენ მუხისა და მარწყვის ფოთლებით, ხან რტოებითა და ტოტებით. ქართული ნაქარგობისთვის სახასიათოა მანების, ხორბლის თავთავების, სიმინდის ღეროების (მხოლოდ აჭარაში), ნუშის გულებისა და ვაზის ორნამენტი. [მსშხი. 1982].

ვაზი, ხორბლის თავთავი, მანი

ჩამოთვლილთაგან, ქართულ საერო ნაქარგობაში ვაზის, ხორბლის თავთავისა და მანის ორნამენტი დომინირებს. პირველი აიხსნება ორი გასაგები მიზეზით — ეს კულტურები პროქართულ წიაღში აღმოცენებული კულტურებია, მანი კი აღმოსავლურ სამყაროში გაჩენილი და ქართულ გემოვნებას მორგებული ორნამენტი.

ცნობილია, რომ **ვაზის** კულტურა უძველესია საქართველოში, რასაც თვალნათლივ მოწმობს არქეოლოგიური და ისტორიული არტეფაქტები — საქართველოში, მარნეულის ველზე, დანგრეული გორის ნასახლარზე ძვ.წ. მე-6 ათასწლეულის ვაზის რამდენიმე წიპნა აღმოაჩინეს და მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ვაზის კულტურულ სახეობას — „*Vitis Vinifera Sativa*“-ს მიაკუთვნეს [http://georgianwine.gov.ge/geo/text/121/].

ამ სამეურნეო დარგის დიდი ხნის ტრადიციაზე თვალნათლივ მიუთითებს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული და ნაწილობრივ დღემდე შემორჩენილი სარიტუალო ქმედებები, რომელთა დიდი ნაწილი ვაზის ბარაქიანობისადმი იყო მიძღვნილი [თოფურია, ნ. 1953].

„ვაზის, ვენახის“ თემას ერთ-ერთი წამ-

The grapevines, wheat, mani

Out of the aforementioned, ornaments of ears of wheat, grapevines, and manis are dominant in secular Georgian embroidery. The first one can be explained through two understandable reasons - these are cultures that had grown up in a pro-Georgian realm, the mani however is an ornament that originated in the eastern world and is adorned with Georgian images.

It is known that the culture of the *grapevine* is the most ancient one in Georgia, clearly being attested by archaeological and historical artifacts - a few grape pips from the 6th millennium BC have been discovered in Georgia in the Marneuli Valley at the ruins of a dwelling on a hill and according to some morphological and ampelographical features, it was classified as a type of viticulture - “*Vitis Vinifera Sativa*” [http://georgianwine.gov.ge/geo/text/121/].

Ritual actions confirmed in Georgian ethnographic life and partially preserved to this day clearly indicate the long-lived tradition of this agricultural field. A large portion of these rituals were dedicated to the fruitfulness of grapevines [Topuria, N. 1953].

The grapevine-vineyard theme holds one of the leading places in Christian symbolism. The Gospel of John was the foundation for this (Jn. 15:1,5). Right in the Old Testament, “a horn and a cluster of grapes” is a symbol for the Promised Land, a hint of the heavenly kingdom (Num. 13:23) [Berelashvili, E. 2013].

The depiction of a grapevine ornament over the entrance of a church is considered to be an indubitable expression of Christ. John 10:9 “I am the door...” is an illustration of the words “I am the True Vine” [Abakelia, N. 2007].

Grapevines were not only pictured on the doors of churches, they were also a wood ornament turned-cult in architecture. The facades of Alaverdi, Ananuri, Bana, Nikortsminda, Oshki, Svetitskhoveli, Tbeti, Barakoni, and many other Georgian churches and monasteries are embel-

ყვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ სიმბოლიკაში, რომელსაც საფუძვლად დაედო იოანეს სახარება (იოანე 15:1,5). ძველ ალექსანდრიულ „რქა და ტევანი ყურძნისა“ ალექსანდრიული ქვეყნის სიმბოლოა, მინიშნება ზეციურ სასუფეველზე (რიცხვთა: 13:23) [ბერელაშვილი, ე. 2013].

ვაზის ორნამენტის ეკლესიის პორტალის თავზე გამოსახვა ქრისტეს უეჭველ გამომხატველად მიიჩნევა. იოანეს სახარება 10.9 „მე ვარ კარი...“ ილუსტრაციაა სიტყვებისა „მე ვარ ვაზი ჭემმარიტი“ [აბაკელია, ნ. 2007].

ვაზს არა მარტო ეკლესიის კარზე გამოსახავდნენ, არამედ იგი კულტად ქცეული ჩუქურთმაა არქიტექტურაში. ვაზის ორნამენტიცაა დამშვენებული ალავერდის, ანანურის, ბანას, ნიკორწმინდის, ოშკის, სვეტიცხოველის, ტბეთის, ბარაკონისა და სხვა მრავალ ქართულ ეკლესია-მონასტერთა ფასადები [შმერლინგი, რ. 1954].

ვაზის თემა ხშირია ხეზე კვეთილობაზეც. ამკობდნენ სახლის ფასადებს, აივნებს, შიგა ინტერიერს აჭარაში, დეკორატიულ ნივთებს და სხვ. (სურ. 48, 49) [ვარშალომიძე, ჯ. 1979].

ვაზი შესამკობლად გამოყენებულია ლითონის ჭურჭელზე, იარაღზე, სამკაულზე (სურ. 50) და სხვ.

ვაზის დეკორის ფართო გამოყენების მიუხედავად, მისი ქართულ საერო სამოსზე გამოსახვა გვიანდელ პერიოდს (XIX საუკუნის II ნახევარი) უკავშირდება. სამოსის ელემენტები — სარტყელ-გულისპირები, ყურთმაჯები, თავსაკრავები (სურ. 51-54) და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები — ქისები, საფულეები, ბუდეები, ყაჯრები, მასალისა და შესრულების ტექნიკის მიხედვით ადრეულ პერიოდს არ უნდა განეკუთვნებოდეს (სურ. 26).

ცნობილია, რომ საქართველო განვითარებული მიწათმოქმედების ქვეყანაა და აქედან გამომდინარე, არა მარტო მევენა-

ლიშ with grapevine ornaments [Schmerling, R. 1954].

Grapevine themes are also frequent on wood-carvings. House facades, balconies, and interiors in Achara, decorative items, etc, were adorned with grapevines (Ill. 48, 49) [Varshalomidze, J. 1979].

They have been used as ornamentation on metal vessels, weapons, jewelry, etc. (Ill. 50).

Despite the wide use of grapevines, their depiction on secular Georgian clothing is connected to a later time period (second half of 19th cent.). Elements of clothing - halters and frontispieces (Ill. 51-54), flounce sleeves, headgear scarves and items for domestic purposes - purses, wallets, holsters, saddle cloths should not belong to the early period according to the material and finishing technique (Ill. 26).

It is known that Georgia is a developed agriculture country and stemming from this, is also an independent, genetic center of not only viticulture, but of grain culture as well [Вовилов Н.И. 1926; Брегадзе Н.А. 1975]. Thus, the ear of wheat theme being frequently represented in secular and ecclesiastical embroidery like grapevine ornaments is completely logical.

According to Guliko Baratashvili, a curator of the Ecclesiastical Embroidery Fund of the Georgian National Museum's Shalva Amiranashvili Museum of Art, and an assistant curator - Ekaterine Berelashvili, the wheat theme is not shown in ecclesiastical embroidery. Wheat is not included in Christian symbolism, but bread. Our daily bread.

Wheat ornaments are encountered neither on masonry nor woodwork, not even being depicted on bread bins.

The symbolical function of wheat, as it seems, went entirely over into food culture and was unable to find wide reflection in ornamentation.

Ears of wheat ornaments appear quite late (end of the 19th c. and beginning of 20th) on the fabric of secular and ecclesiastical attire and are

48



56

ხეობა-მელვინეობის, არამედ მარცვლეული კულტურების დამოუკიდებელი, გენეტიკური ცენტრიცაა [Вовилов Н.И. 1926; Брегадзе Н.А. 1975]. ამიტომ, სრულიად კანონზომიერია, ვაზის ორნამენტის მსგავსად, ხორბლის თავთავის თემაც ხშირად იყოს წარმოდგენილი საერო-საეკლესიო ნაქარგობაში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის, საეკლესიო ნაქარგობის ფონდის კურატორისა — გულიკო ბარათა-



58

სურ. 56. ქართული კაბის ელემენტები – სარტყელ-გულისპირები

სურ. 57. ქალის მოსასხამი

სურ. 58. ბავშვის ახალუხი

სურ. 59. ქალის ქუდი

სურ. 60. ლურჯი სუფრა

სურ. 61. ასლარ – მკერდის სამკაული (სვანეთი)

Ill. 56. Elements of Georgian woman's dress – halters and frontispieces.

Ill. 57. Woman's pelerine

Ill. 58. Child's akhalukh

Ill. 59. Georgian woman's hat

Ill. 60. Georgian traditional blue tableclothes

Ill. 61. Aslar-brooch (Svaneti)

only pictured on the halters and frontispieces of Georgian dresses.

A halter and frontispiece of a Georgian dress is kept in the embroidery fund of the Shalva Amiranashvili Museum of Art, on which a mani or crucible ornament has been traced out with ears of wheat (Ill. 56).

The **mani** is a Zoroastrian ornament originating in the Iranian world of the archaic period. It embodied the Tree of Life and was straight and branched like a tree. Over time, its forms had



57



59



60

შვილისა და ასისტენტ-კურატორის — ეკა ბერელაშვილის აღნიშვნით, საეკლესიო ნაქარგობაში ხორბლის თემა არ არის მოცემული. ქრისტიანულ სიმბოლიკაში შეტანილია არა ხორბალი, არამედ პური. პური ჩვენი არსობისა.

ხორბლის ორნამენტი არც ქვითხურობაში და არც ხითხურობაში არ გვხვდება იგი პურის კიდობნებზეც კი არ არის გამოსახული.

ხორბლის სიმბოლური დატვირთვა, რო-



61

გორც ჩანს, მთლიანად კვების კულტურაში გადავიდა და ორნამენტიკაში ფართო ასახვა ვერ პოვა.

ქართულ საერო და სასულიერო სამოსზე ხორბლის თავთავის ორნამენტი საკმაოდ გვიან (XIX საუკუნის მიწურულს, XX საუკუნის დასაწყისში) ჩნდება ქსოვილზე და მხოლოდ ქართული კაბის სარტყელ-გულისპირებზეა გამოსახული

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობის ფონდში დაცულია ქართული კაბის სარტყელ-გულისპირი, რომელზეც ხორბლის თავთავებით გამოყვანილია მანის ანუ ბუთა ორნამენტი (სურ. 56).

მანი არქაული პერიოდის ირანული სამყაროს წიაღში გაჩენილი ზოროასტრული ორნამენტი. იგი სიცოცხლის ხეს განასახიერებდა და ხესავით სწორი და განტოტვილი იყო. დროთა განმავლობაში, ოსტატისა თუ მხატვრის ფანტაზიით შეცვლილა მისი ფორმები და მოხრილი გამხდარა. მანთან დაკავშირებით, გამოთქმულია მეორე მოსაზრება, თითქოს მისი თავდაპირველი შთაგონების წყარო ფოთოლი იყო [Maitra, K.K. 2007; Davari, N. 1998].

ირანული წარმომავლობის მიუხედავად, დღეს მანის ორნამენტი არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს ქვეყნების საფეიქრო მრეწველობაშია ჩაშვებული ათასნაირი ზომითა და ფორმით და თუ პირველი არა, ერთ-ერთი საკმაოდ პოპულარული და ყველასთვის სასურველი ორნამენტი.

რა საერთო აქვს მანის ორნამენტს ქართულ დეკორთან და რა ფაქტორმა განაპირობა მისი ცალკე განხილვის საგნად გადაქცევა?

ორნამენტის გავრცელებული სახელწოდებაა ბუთა — Boteh/Paislay. ტერმინი მანი კი ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში მთხრობელთა მიერ მონაყოლის საფუძველზეა დამკვიდრებული. თუმცა, აღსანიშნა-

changed according to the fantasies of the craftsman or artist and it became crooked. A second opinion has been expressed concerning the mani, as if the source for its original inspiration was a leaf [Maitra, K.K. 2007; Davari, N. 1998].

Despite Iranian origins, the mani ornament has not only been introduced in Georgia, but also in the textile industry the world over, through thousands of sizes and shapes. If it is not the first, it is one of the most popular and most desired ornaments.

What does the mani ornament have in common in Georgian decor and what factor lead it to be viewed as a separate subject?

The ornament's widespread name is boteh or paisley. The term "mani" however is established on the foundation of word of mouth in Georgian ethnographic life. Yet it is also notable that boteh was used in parallel with mani.

The mani ornament must have originated in Georgian decor during the hegemony of Iran and Persia in Georgia. This relationship destroyed many Georgian traditions and other foreign traditions sprang up in their place.

This ornament is frequently presented on not only the decor of Georgian attire (Ill. 56-59, 65), but also on carpet products, blue tablecloths (Ill. 60), woodwork, gold jewelry (Ill. 44), pottery, etc. It has been confirmed on Acharian woodwork with prominent frequency. The inner and outer facades of an Acharian house, items for domestic use, etc. are decorated with the mani ornament (Ill. 48).

Among the great amount of items for various uses introduced into Georgia from eastern countries during the 18th-20th centuries were the so-called Kirman woolen shawls, which were widely used in clothing, as well as in domestic items. An akhalukh done in the Iranian fashion for Prince Aleksandre Batonishvili of Kartl-Kakheti kept in the embroidery fund at the art museum has been sewn with mani figures.

Mani ornaments are encountered with great-

ვია ისიც, რომ მანის პარალელურად, ტერმინ-ბუთასაც გამოიყენებდნენ.

მანის ორნამენტი ქართულ დეკორში, საქართველოში ირან-სპარსეთის ჰეგემონობის დროს უნდა გაჩენილიყო. ამ ურთიერთობებმა არაერთი ქართული ტრადიცია მოსპო და მის ადგილას სხვა, უცხო აღმოაცენა.

მანის ორნამენტი ხშირად ნარმოდგენილი არა მარტო ქართული სამოსის დეკორზე (სურ. 56-59, 65), ასევე ოქრომჭედლობაში (სურ. 44), ლურჯ სუფრაზე (სურ. 60), ხითხურობაში, ხალიჩურ ნაწარმზე, მეთუნეობაში და ა.შ. გამორჩეული სიხშირით იგი აჭარულ ხითხურობაშია დადასტურებული. მანის დეკორითაა შემკული აჭარული სახლის შიდა და გარე ფასადები (სურ. 48), საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები და ა.შ.

საქართველოში XVIII-XX საუკუნეებში აღმოსავლური ქვეყნებიდან შემოსულ დიდი რაოდენობის სხვადასხვა დანიშნულების ნივთთა შორის იყო ე.წ. ქირმან/თირმანშალები, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა როგორც სამოსში, ასევე სახლის ინტერიერის გასამშვენებლად. მანებიანი ქსოვილია გამოყენებული ქართლ-კახეთის უფლისწულის ალექსანდრე ბატონიშვილის ირანულ ყაიდაზე შეკერილ ახალუხებში, რომლებიც დაცულია ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობის ფონდში.

მანის ორნამენტს ქართულ კოსტიუმში მეტი სიხშირით ვხვდებით, ვიდრე ვაზისა და ხორბლისას. სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული მანის ორნამენტით ამკობდნენ ქართული კაბის სარტყელ-გულისპირებს, წინსაფრებს, ქალის ქუდებს, ყაბალახებს, ზედატანებსა და მოსასხამებს (სურ. 57-60).

მანის ორნამენტის უმრავლესობა, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ქართული დეტალებითაა შესრულებული. მისი სივრცე შევსებულია სამყურა ბალახით, ოთხფურცელა, მაყვლის, ჯონჯოლისა და ლობიოს

er frequency in Georgian attire than those of grapevines and wheat. Mani ornaments done in various techniques adorn the halters and frontispieces of Georgian dresses, aprons, women's hats, bashlyks, blouses, and pelerines (Ill. 57-60).

According to the material at hand, the majority of mani ornaments are done with Georgian details. The empty spaces are filled up with clover and cinquefoil, blackberry, caper, and bean flowers, blackberry and grape leaves, etc., even if we were to recall the mani figure traced out in ears of wheat.

Thus it is possible to say that despite originating in another country, quite a variety of variations of the Georgian mani have been confirmed in life, as well as the knowledge of Scottish, Italian, English, and other outlines of botch.

A tradition of stylized depictions of floral ornaments is also frequent in secular Georgian outfits. Yet it is noted that clothing of this type is more characteristic of life in the 19th century and as it was already pointed out, its spread is matched by the area of dissemination of the Georgian dress with a halter and frontispiece. The stylization of plants is mostly characteristic of southwest Georgia. Tree of life ornaments are abundant in the decor, in which floral and geometric elements characteristic of Georgian embroidery are used (Ill 57, 62).

C. Zoomorphic ornaments

The deer, snakes, birds

National Georgian attire was also embellished with **zoomorphic** and **anthropomorphic** images.

Among zoomorphic images, depictions of deer, birds, and snakes are frequently encountered on clothing (Ill. 11, 26, 35, 64-66), whereas dogs, lions, and horses are less represented, mostly on purses and holsters (Ill. 66). A horse's symbolic function in Georgian culture is multifaceted. It is connected to the soul of a deceased person, the tree of the universe, sometimes em-

52



63

ყვავილებით, მაყვლისა და ვაზის ფოთლით და ა.შ. თუნდაც გავიხსენოთ ხორბლის თავთავებისგან შედგენილი მანის ფიგურა.

ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ სხვა ქვეყნის წიაღში წარმოშობის მიუხედავად, ყოფაში დადასტურდა ქართული მანის საკმაოდ მრავალფეროვანი ვარიაციები, ისევე როგორც ცნობილია მანის შოტლანდიური, იტალიური, ინგლისური და სხვა მოხაზულობები.

ქართულ საერო კოსტიუმში ასევე ხშირია მცენარეული ორნამენტის სტილიზებულიად გამოსახვის ტრადიცია. თუმცა აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ ფორმის სამოსი უფრო XIX საუკუნის ყოფისათვისაა დამახასიათებელი და როგორც უკვე აღინიშნა, მისი გავრცელება თან სდევს ქართული სარტყელ-გულისპირიანი კაბის გავრცელების არეალს. მცენარეთა სტილიზება უმეტესწილად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. დეკორში ჭარბობს სიცოცხლის ხის ორნამენტი, რომელშიც გამოყენებულია ქართული ნაქარგობისთვის დამახასიათებელი მცენარეული და გეომეტრიული ელემენტები (სურ. 57, 62).



62

bodying the tree of the universe itself [Abakelia, N. 2004], yet, a horse's zoomorphic depiction on fabric appears later on and is less represented.

Due to a lack of material, it is not possible to determine as to which figure's depiction is characteristic of a certain region, yet it is known for sure that **deer** are pictured on Ingilo stockings (Ill. 33) and a Khevia woman's akhalukh (Ill. 35).

Snakes are mostly depicted on the legs of silk underskirts and waist coats, whereas in regard to images of **birds**, avian motifs are frequent in the attire of the southwest, particularly on elements of a woman's outfit from Akhaltsikhe, such as a fur jacket, waistcoat, *talma* (a long cape), apron, etc.



65



64

გ. ზოომორფული ორნამენტი

ირემი, გველი, ფრინველი,

ქართული ეროვნული სამოსი ზოომორფული და ანთროპომორფული სახეებითა და იმკობოდა.

ზოომორფული სახეებიდან სამოსზე ხშირად ვხვდებით **ირემის, ფრინველისა და გველის** გამოსახულებას (სურ. 11, 26, 35, 64-66), ხოლო ძაღლი, ლომი და ცხენი ნაკლებად და ისიც ქისებსა და ბუდეებზეა წარმოდგენილი (სურ. 66). ცხენის სიმბოლური დატვირთვა ქართულ კულტურაში მრავალმხრივია. იგი უკავშირდება გარდაცვლილის სულს, სამყაროს ხეს, ზოგჯერ თვით სამყაროს ხეს განასახიერებს [აბაკელია, ნ. 2004], თუმცა, ცხენის ზოომორფული გამოსახულება ქსოვილზე გვიან ჩნდება და ნაკლებადაა წარმოდგენილი.

მასალის სიმცირის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რომელი რეგიონისთვისაა დამახასიათებელი ამა

Images of dogs, horses, and lions are presented on purses from Imereti (Kutaisi) and Kartli (Gori) (Ill. 66). According to the shape of the material and items, they must belong to the 20th century, meaning that the inclusion of these figures on clothing begins quite late.

D. Anthropomorphic figures

Images of people are encountered in old Khevsurian clothing (18th c.) (Ill. 8) and on relatively new (second half of 19th c.) silk undershirts (Ill. 64) and even newer purses (20th c.) in embroidery decor. (Ill. 66)

The depiction of anthropomorphic figures, as well as that of crosses and the borjghali, is characteristic of Georgian embroidery.

სურ. 62. ქალის ზუბუნა

სურ. 63. ფაფანაკი

სურ. 64. შეიდიში

სურ. 65. ქალის ელეგი

Ill. 62. Woman's waistcoat

Ill. 63. Papanaki

Ill. 64. Sheidishi

Ill. 65. Woman's Elegi

თუ იმ ფიგურის გამოსახვა, თუმცა ის კი დანამდვილებითაა ცნობილი, რომ *ირემი* გამოსახულია ინგილოურ წინდებსა (სურ. 33) და მოხევე ქალის ახალუხზე (სურ. 35). ირემის გამოსახულების გარდა, აქსოვდნენ მამლის, პუბლის, ცხენის, ციკნისა და სხვა სახეებს სამოსში [აზიკური, ნ. 2017].

გველი უმეტესწილად შეიდიშის ტოტებსა და ელეგებზეა გამოსახული, ხოლო რაც შეეხება *ფრინველის* გამოსახულებას, ხშირია სამხრეთ-დასავლეთის ჩაცმულობაში, კერძოდ, ახალციხელი ქალის სამოსის ერთეულებზე, როგორიცაა ქათიბი, ელეგი, ტალმა, წინსაფარი და ა.შ.

იმერული (ქუთაისი) და ქართლურ ი(გორი) ქისები, რომლებზეც წარმოდგენილი ძაღლის, ცხენისა და ლომის გამოსახულება (სურ. 66), მასალისა და ნივთის ფორმის მიხედვით, XX საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფიგურათა სამოსზე დატანა საკმაოდ გვიან იწყება.

დ. ანთროპომორფული ორნამენტი

ქარგულობის დეკორში, ძველ ხევისურულში (სურ. 8) (XVIII საუკუნე) და შედარებით ახალ (XIX საუკუნის II ნახევარი, XX ს.) შეიდიშებსა და ქისებზე ვხვდებით ადამიანის გამოსახულებას (სურ. 64, 66).

ანთროპომორფული ფიგურების გამოსახვა, ისევე როგორც ჯვრისა და ბორჯღაღისა, დამახასიათებელია ქართული ქარგულობისთვის.



I



II



IV

ორნამენტის სახელწოდებანი

ქართულ ეროვნულ სამოსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია შეკრებილია მუზეუმის საინვენტარო წიგნებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გაბნეული

ORNAMENT NAME

Terms related to the Georgian national clothes are accessible by virtue of the information given in the museum's inventory books and scientific literature. We received some important aid from the scientific edition- Materials in reference to Georgian Industry and Crafts (Volume II.Part II.) as well as works by N. Azikuri, A Omarashvili, R. Gambashidze and others.

We put a great endeavor into expanding available data content with field ethnographic materials. As it has turned out you actually can't find anyone nowadays who continues the textile industry in the old traditional way.

The origin of mentioned terms was confirmed with the help of Georgians living in Fereidan (Nugzar Lachineli, Tornike Sepiani, Erekle Onikashvili, etc.) In addition, Persian-Georgian Dictionary, edited by Nugzar Lachineli was helpful to specify the origin of terms as well.

The book does not list additional information in terms of ornament shapes since the format prevents us from complying the full description with their contour and name.

III



66

ინფორმაციის მიხედვით. ლიტერატურიდან ყველაზე დიდი დახმარება გაგვინია სამეცნიერო გამოცემამ — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის (ტ. II. ნაწ. II). ასევე ნ. აზიკურის, ა. ომარაშვილის, რ. ღამბაშიძისა და სხვათა ნაშრომებმა.

შევეცადეთ, არსებული მონაცემები შეგვევსო საველე ეთნოგრაფიული მასალით. ველზე გასვლისას კი აღმოვაჩინეთ, რომ სადღეისოდ ფაქტობრივად ველარსად ნახავთ ქალებს, რომლებიც წინაპართა ტრადიციულ

Preserved names of ornaments of Kartlian-Kakhetian clothing

Gilan — Gilan's Flower.

Gagrdzelebuli Gilani — the row of Gilan flowers.

Gachrili vardi — split rose flower.

Dachituli — printed with coloured dots or patterned with flowers.

Dajonjili — Large size flowers, six-petal flower.

Vazi-vine.

Vazis potoli — vine leaves.

Vardi — a rose.

Varskvlava — a star.

Inis Kvavili — Ini flower.

ქართული სამოსის ორნამენტი

დიციისამებრ აგრძელებენ საფეიქრო მრეწველობას.

არსებული ტერმინოლოგიის წარმომავლობის დაზუსტებაში დაგვეხმარა ფერეიდნელ ქართველებთან (ნუგზარ ლაჩინელი, თორნიკე სეფიანი, ერეკლე ონიკაშვილი და სხვ.) მუშაობა და ასევე ნუგზარ ლაჩინელის მიერ გამოცემული სპარსულ-ქართული ლექსიკონი.

წარმოდგენილი ნიგნის ფორმატი არ იძლევა ორნამენტის მოხაზულობათა და სახელწოდებათა სრულად წარმოდგენის საშუალებას. დანტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ იხილოთ დასახელებული ლიტერატურა.

ქართლურ-კახურ ჩაცმულობაში ორნამენტის ძველი, შემორჩენილი სახელწოდებანი

გილანი — გილანის ყვავილი.

ვაგრძელებული გილანი — გილანის ყვავილის რიგი.

ვაჭრილი ვარდი.

დაჩითული — მცირე ზომის წერტილები ან ყვავილები.

დაჯონჯილი — დიდი ზომის ყვავილები, სავარაუდოდ, ექვსფურცლა.

ვაზი.

ვაზის ფოთოლი.

ვარდი.

ვარსკვლავა — ვარსკვლავი.

ინის ყვავილი.

კიბე — ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად განლაგებული ტეხილი ხაზები.

კნეთელი — სწორხაზოვანი არშია.

კუნუბო — ირიბი ხაზები.

მანი — მუცელგანიერი, თავვიწრო და ბოლომოსრილი ფიგურა.

მარწყვის ყვავილი.

მუხის ფოთოლი.

ნუშისგულა — ნუშის გულის ფორმის ორნამენტი.

Kibe — vertical or horizontal zigzag/curved lines.

Kneteli — straight lace/ ruche.

Kutsubo — diagonal lines.

Mani — a figure with wide belly, narrow neck and a curved/hooked end.

Martskvis Kvavili — Strawberry flower.

Mukhis fotoli — Oak leaf.

Nushisgula — almond-shaped ornament.

Mtvariani — arc.

Toti — plant shoots.

Pata — bunch of grapes.

Kakacho — a poppy.

Pichkhi (brushwood) — Geometrical figure consisting of lines and circles.

Kurdzniani Vazi — grapevine (vine with grapes).

Chitis prta-geometrical figure consisting of direct and diagonal lines.

Chigini — a. strawberry flowers.

Chiginis Kvavili — strawberry leaves.

Tsakidebuli chiti — quarrelsome bird.

Tsvimis Kvavili — rain drop shaped ornament.

Tsintskla — snowflake Shaped Ornament.

Tskali — a straight line.

Khrakhnili — zigzag lines.

Jvari — linear and rectangular cross.

Old Terms of Ingilo Sock Ornaments

Didkhach — a big cross.

Vardi potolai — rose leaves.

Kaklis lebnis sakhei — shelled walnut pattern.

Irmevian sakhei — an image of a deer.

Katibagai — the cat's whiskers.

Mamlis brchkalebi — Rooster claws.

Pepelai — a butterfly.

Purtslis sakhei — leaf pattern

Potlebian — leaves.

Kebebian — with horns.

kichboinyz — Ram's horns.

Tskhenis sakhei — a horse pattern.

მთვარიანი — რკალი.

ტოტი — მცენარის ტოტი.

ფათა — ყურძნის მტევანი.

ყაყაჩო.

ფიჩხი — ხაზებისა და წრეებისგან შემდგარი გეომეტრიული ორნამენტი.

ყურძნიანი ვაზი.

ჩიტის ფრთა — სწორი და ირიბი ხაზებისგან შემდგარი გეომეტრიული ორნამენტი.

ჩიგინი — ა. მარწყვის ყვავილი.

ჩიგინის ყვავილი — მარწყვის ფოთოლი.

წაკიდებული ჩიტი — მოჩხუბარი ჩიტი.

წვიმის ყვავილი — წვიმის ფორმის ორნამენტი.

წინწკალა — თოვლის ფიფქის მსგავსი ორნამენტი.

წყალი — სწორი ხაზი.

ხრახნილი — ტეხილი ხაზი.

ჯვარი — სწორხაზოვანი და სწორკუთხა ჯვარი.

ინგილოური წინდის
ორნამენტის ძველი,
შემორჩენილი სახელწოდებანი

დიდხაჩ — დიდი ჯვარი

ვარდი ფოთოლაი.

კაკლის ლებნის სახეი.

ირმევიან სახეი — ირმის გამოსახულება.

კატიბალაი — კატის უღვაში.

მამლის ბრჭყალები.

პეპელაი.

ფურცლი სახეი.

ფოთლებიან — ფოთლები.

ქებევიან — რქებიანი.

ყიჩბოინუზ — ყოჩის რქა.

ცხენის სახეი.

Old terms for Tushetian Clothes ornaments

Alvis khei — a straight line with three branches ending with rombs.

Potlebiani alvis khei — poplar tree leaves.

Bakadi — Rombus cross pattern inserted in another rombus/ rhombus-shaped image frames.

Bodzi — a zigzag line.

Gashlili alvis khei — a cross with curved ends.

Gakril toti — a snowflake shaped ornament.

Gverdian kharkhalatsi — ed worms in water having the shape of numeral number 5.

Gretsilatsi — diagonal lines between straight lines.

Zeni — Georgian alphabetic letter "ზ (Z)" looks like Latin S.

Zoli — a vertical stripes.

Mikhi — horizontal stripes.

Tvali — Rombus.

Tvaladi — a square/quadrangle.

Iskuntali — intermittent lines.

Kbilatsi — intermittent triangle.

Kachkachtsi — checked pattern of alternating colorful and colorless squares.

Melis kudadi — diagonal lines curved ends.

Napis Napotadi — zigzag lines on straight lines.

Napotadi — an equilateral triangle.

Pepelatsi — a row of arcs.

Sakdari — triangle inside triangle pattern.

Sakdris gumbati — an equilateral triangle with a cross inside.

Totebi — X shape ornaments.

Ujratsi — two rows of boxes.

Paris tvaladi — a circle inside circle.

Chitistvala — a rombus inside rombus.

Tsutunatsi — slanting zigzag lines.

Tsignuratsi — S-shape figure with angular edges.

Chirkvani — zigzag line.

Chirkvana tarit — straight and zigzag lines.

Khedati — Russian alphabetic letter Г shape figure.

თუშურ ჩაცმულობაში
ორნამენტის ძველი,
შემორჩენილი სახელწოდებანი

ალვის ხეი — სამად განტოტვილი სწორი ხაზი რომბების დაბოლოებებით.

ფოთლიანი ალვის ხეი.

ბაკადი — რომბში ჩასმული ჯვრიანი რომბი.

ბოძი — ზიგზაგი.

გაშლილი ალვის ხეი — ჯვარი ზემოთ მიმართული მოხვეული ბოლოებით.

გაყრილ ტოტი — ფიფქის ფორმის ორნამენტი.

გვედიან ხარხალაცი — წყლის წითელი ქია, ნააგავს ციფრ 5-იანს.

გრეცილაცი — სწორ ხაზებს შუა მოქცეული, ვერტიკალური ირიბი ხაზები.

ზენი — ქართული ასო-ბგერა — „ზ“. ნააგავს ლათინურ S-ს.

ზოლი — ვერტიკალური ზოლი.

მიხი — ჰორიზონტალური ზოლი.

თვალი — რომბი.

თვალადი — ოთხკუთხედი.

ისკუნტალი — წყვეტილი ხაზები.

კბილა — წერტილოვანი სამკუთხედი.

კაჭკაჭი — ფერადი და უფერული მართკუთხედების მონაცვლეობითი რიგი.

მელის კუდადი — თავსა და ბოლოში მოკაუჭებული ირიბი ხაზები.

ნაპირის ნაფოტადი — სწორ ხაზზე ტეხილი.

ნაფოტადი — სწორფერდა სამკუთხედი.

პეპელაცი — რკალთა რიგი.

საყდარი — სამკუთხედში ჩასმული სამკუთხედი.

საყდრის გუმბათი — სწორფერდა სამკუთხედი ჯვრით.

ტოტები — X-ის ფორმის ორნამენტი.

უჯრა — უჯრების ორი რიგი.

ფარის თვალადი — წრეში ჩასმული წრე.

ჩიტისთვალა — რომბში ჩასმული რომბი.

ცუტუნა — განზე გასული ზოგზაგი.

khmiadatsi — Latin N-shape figure.

Jaranadi — slanting crosses inside a cross with slanted sides.

Old and preserved terms in khevsurian clothes

Akushura — S- shape horizontal figure.

Borjgala — Perennial, linear figure with arc ends.

Borjgliani khati — cross inside perennial figure.

Dakavkaula — a zigzag line.

Kvera — a rhombus.

Mirgvala — a circle.

Orshibiani dakavkula — straight, diagonal, intermittent, curved and zigzag lines between two lines.

Rkiani, Rkianmartugula — bull horn shape geometrical ornament.

Tsitsais pekhai — horn and a triangle.

khati — a cross.

khatula — a small cross.

khatis khati — a cross drawn inside another cross.

Jvarkiani martugula — bull horn shape geometrical pattern with a cross.

Gvediani kachkachani — straight lines between vertical lines.

Old and preserved terms in Mokhebian clothing

Baptura — zigzag between straight lines.

Isrispiruli — slanting angle.

kavebi — lines with curved hooked edges.

Martskvis potoli — three leaf clover ornaments.

Tsatsvlila — a rhombus.

Kherkhispiruli — zigzag lines.

- წიგნურაცი** — კუთხოვანი S-ის ფორმა.
ჭირკვანა — ზიგზაგი.
ჭირკვანა ტართ — სწორი და ზიგზაგი ხაზები.
ხეტადი — რუსული F-ს ფორმა.
ხმიადა — ლათინური N-ის ფორმის ფიგურა.
ჯარანადი — დახრილი ჯვრებით შევსებული ირიბი ჯვარი.

ხევსურულ ჩაცმულობაში
 ორნამენტის ძველი,
 შემორჩენილი სახელწოდებანი

- აკუშურა** — S-ის ჰორიზონტალური ფიგურა.
ბორჯღალა — მრავალხანაგა, ბოლოებ-
 მორკალული ხაზოვანი ფიგურა.
ბორჯღლიანი ხატი — მრავალხანაგა ფი-
 გურის შუა გამოსახული ჯვარი.
დაკავკაულა — ზიგზაგი.
კვერა — რომბი.
მირგვალა — წრე.
ორშიბიანი დაკავკაულა — ორ სწორ ხაზს
 შუა მოქცეული სწორი, ირიბი, წყვეტი-
 ლი, ტეხილი და ზიგზაგი ხაზები.
რქანი, რქიანმარტულელა — ხარის რქის
 სტილიზებული გეომეტრიული ორნამე-
 ნტი.
ციცაის ფეხაი — რქი და სამკუთხედი.
ხატი — ჯვარი.
ხატულა — მცირე ზომის ჯვარი.
ხატის ხატი — ჯვარში ჩახაზული ჯვარი.
ჯვარქიან მარტულელა — ხარის რქის
 სტილიზებული გეომეტრიული სახე
 ჯვრით.
ღვედიან კაჭკაჭანი — ვერტიკალურ ხა-
 ზებს შუა მოქცეული სწორი ხაზი.

Old and preserved terms in Mtiuletian Clothing

- Vardi** — a rose.
Mani — linear image of teardrop.
Mtvare — arc shape ornament.
Nazuki — triangles inside snowflake shape ge-
 ometrical figure.
Jvriani sakhe — a cross inside triangle ornament.

Old terms preserved in meskhetian- javakhetian clothing

- Antipa** — oval shape ornament.
Bapta — bird and floral pattern.
Tagala — embroidery made of white thread yarn.
Iribi sakhe — slanting lines.
Makratela — number 8 shape ornaments.
Mukhliani — a row of angles.
Puchpucha Egrija — silver tubules.
Katmispekha — lines joining the angles.
Chanchika — checked pattern of alternating
 colorful and plain squares.

Old terms in Imeretian clothing

- Kakia**-small size flower.
Tskali-straight line.
Kichkicha-zigzag lines.

Some Reserved Terms in Megrelian Clothing

- Dgimi** — number 8 shape ornament.
Kali — a straight line.
Kibirepi — a staright, vertical lines.

მოხეურ ჩაცმულობაში
ორნამენტის ძველი,
შემორჩენილი სახელწოდებანი

- ბაფთურა** — სწორ ხაზებს შუა ზიგზაგი.
- ისრისპირული** — დახრილი კუთხე.
- კავეები** — ბოლოებმოკაუჭებული ხაზები.
- მარწყვის ფოთოლი** — სამყურა ბალახის ფორმის ორნამენტი.
- ნაცვლილა** — რომბი.
- ხერხისპირული** — ტეხილი ხაზები.

მთიულურ ჩაცმულობაში
ორნამენტის ძველი,
შემორჩენილი სახელწოდებანი

- ვარდი.**
- მანი** — ცრემლის ხაზოვანი გამოსახულება.
- მთვარე** — რკალისებური ორნამენტი.
- ნაზუქი** — ფიფქის გეომეტრიული ფიგურა, შუაში ჩასმული სამკუთხედებით.
- ჯვრიანი სახე** — სამკუთხა ფორმის ორნამენტი ჯვრით.

მესხურ-ჭავჭავურ ჩაცმულობაში
ორნამენტის ძველი,
შემორჩენილი სახელწოდებანი

- ანტიფა** — ოვალური ორნამენტი.
- ბაფტა** — ფრინველისა და მცენარის სახე.
- თაგალა** — თეთრი ძაფით შესრულებული ნაქარგობა.
- ირიბი სახე** — დახრილი ხაზები.
- მაკრატელა** — 8-იანის ფორმის ორნამენტი.
